



ნ ა წ ე რ ე ბ ი

(სიმონ ბერეყიანის ეს "ნაწერები" გაამრავლებს მისმა მეგობრებმა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემელებმა. სიმონ ბერეყიანი დაიბადა 1897 წელს გურიაში. დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო თბილისში. საქართველოშივე დაიწყო ლექსების წერა. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს იხსენივდებოდალ წამოვიდა ევროპაში. ამასობაში წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო და ის დარჩა ემიგრაციაში. 1941 წელს ის გახდა მძიმე ავად და გარდაიცვალა 1942 წელს მსუფხვარეში).

ქართული ლექსების ავეჯი ბიბლიოთეკა № 2

სიმონ ზაქარიაძე

ნ ა წ ე რ ე ბ ი

ბერლინი 1943

გამომცემლობისაგან

ამ წიგნის სახით ვაწვდით ქართველ მხედრობას ჩვენს საველე ბიბლიოთეკის მეორე კრებულს. ის შეიცავს სიმონ ბერეჟიანის პოეზიის იმ ნაწილს, რომლის შეგროვება ჩვენ შეუძლებელი. სამწუხაროდ, რჩება წიგნის გარეშე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მრავალი ლექსი. მათი თავის დროზე მიღება არ მოხერხდა. ამ კრებულში ვერ შევიტანეთ აგრეთვე ქართველ ლტოლვილთა ცხოვრებასთან დაკავშირებული წერილები, პატარა სცენები. ნეკროლოგები და სხვ., რომელიც უფრო ხელსაყრელ და შესაფერ პირობებს უნდა დაელოდოს.

მიუხედავად ამისა, ამ კრებულის გამოცემით ჩვენ მაინც ვახერხებთ ორი მიზნის მიღწევას:

გადარჩება დაკარგვას ლტოლვილი მგოსნის შთაგარი და მისი ბუნების დამახასიათებელი შემოქმედება. მას, დღემდის ვიწრო ქართული ოჯახის მგოსანს და სამშობლოში აკრძალულ ემიგრანტს გაეცნობიან ტრადიკულ პირობებში საქართველოს ახლად მოწყვეტილ ახალგაზრდათა ათასეულები, შეიყვარებენ სამშობლოს ტკივილებით გაქლენილ პოეზიას, შეიყვარებენ ახლად მისეინებულ მგოსანს.

ჩვენ არ გვგონია, რომ დღევანდელ ღუბჭირ პირობებში სხვა და უფრო უკეთესი საშუალება არსებობდეს სიმონ ბერეჟიანის ხსოვნის აღსანიშნავად.

დასასრულ, ღრმა მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ მ. ტულუშს, რომელმაც გულმოდგინე და ენერგიული მუშაობა გასწია პოეტის ნაწერების შეგროვებისათვის, და ყველა მათ. ვინც რაიმე სახით წინამდებარე კრებულის გამოცემაში ხელი შევიწყო.

გაზეთ „საქართველოს“ გამომცემლობა
შთაგარი რედაქტორი: ასმეთ. გაი მაღლაკელიძე
გარეკანი და გაფორმება: ათმეთაურ ი. ტყვენიძისა
ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა, ბერლინი

PK — Lehrdruckerei



სიმონ ბერეჟიანი

სიმონიკა ბერეჟიანი!

სამშობლოს მოწყვეტილი, უცხოეთში ვაღპოხ-ვეწილი ქართველობა კარგად იცნობდა მას. ყველას უყვარდა იგი! და ეს სიყვარული წარმოშობილი იყო მისი გულის ნიჭიდან; მთელი მისი არსება შეპყრობილი და მოგადიდებელი იყო სამშობლოს სიყვარულით და ამ სიყვარულის სიძველეს იგი ჰყვებოდა ყველას, და ყველაც იმავე გრძნობით უპასუხებდა.

იგი გულით ატარებდა საქართველოს და იყო თავდავიწყებული მიჯნური სამშობლოსი. სამშობლოც არ ისვენებდა მას და უმარავ საუკუნეთა მანძილზე ქართული სისხლით გაეღუნებოდა მიწა მიუღწეობდა. მას არ შეეძლო შიახლოვება. მტერი ჰყოლობდა სამშობლოს. და იგი უცხოეთიდან ელოლიავებოდა მას, უცალობდა.

ხუზუნნი და სიხარული, ჭმუნვა და იმედი, გოდება და ღიმილი, თაღზი და ბიძინი, ნატვრა და ბრძოლა — ყველაფერი ეს გადაჭარვილია მის შემოქმედებაში და უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით ვამთბარი.

ასეთი იქნებოდა გრძნობა და ფიქრი თვითველი ქართველისა, რომელიც გარდასვლ დროთა მანძილზე ზოგი სპარსეთში, ავღანისტანში, მონღოლეთში, ზოგი მკორე აზიისა და არაბეთის ქვეყნებში, ზოგი

ბალკანეთში და რუსეთში, დაბოლოს — ევროპაში, სამშობლოს უბედობით გადაკარგული იყო.

აქ იწყებოდა ზორვა: ღეთის მიმართ შეწირვა. კმევი და მსხვერპლი. ხოლო ეს დღეობი ქართველისა — სამშობლო იყო.

თავსნიერი ანუ მართალი შეილი ამ ზორვით თავის უღიადეს მოვალეობას ასრულებდა საკუთარი სამშობლოს წინაშე. ვინაიდან ამ მზორავს სიმართლე ავიადგებულენდა. და ეს სიმართლე იყო მისი სამშობლო, მტრისაგან იავარქნილი და გაპარტახებულნი, დაცვა საქართველოს თავისუფლებისა, ასსნა მტრის მიერ დაღებულ მორკლებისა იყო ხსნა ერისა. დაცვა სიმართლისა და სამართლიანობისა. ამ სიმართლესა და სამართლიანობას ეძებდა სიმონიკაც.

ამიტომია, რომ სიმონიკას დროსა და სივრცის გარეშე ვხედავთ. თუმცა იგი ჩვენი თანამედროვე იყო.

სიმონიკა თანაოსდევს ქართველ ერს დასაბამიდანვე, იგი მისი ღვიძლი შვილია, მისი მართალი შვილი და მისთვის ფხიზელი მეომარი.

და ამახანდაც, ოღეს ომის ყოინა ვასსმა, იგი გმირულად გაეშურა ბრძოლის ველისაკენ, მაგრამ, სავალალოდ, აღარ დისცალდა თავისი თავი ზეარაკად მიეტანა სამშობლოს საკურთხეველზე. მხოლოდ მისი სული შეეწირა მას.

საქართველო ცხივრობდა და ცოცხლობს გმირებით. გმირულმა სულმა, რაინდულმა გულმა იგი ატარა გზაიწირო. კლდოვან ასპარეზზე და ჩიენმა ერმაც ამ ძნიად სვლაში გამოსჭედა თავისი მე სწორეთ აღუარიცხველი ბრძოლენებით. ამ სულთი აზვირთებულნი და ამ გულით მძგერი იყო ჩვენი სიმონიკაც, რომე-

ლიც მუხანათ წუთისოფელს უდროოდ გამოესალმა,
ვერცყი მოასწრო თავისი სიტყვები გაენაღდებინა.

„თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე,
მხოლოდ სისხლისთვის გიხმობს ჩემი ბუკი-ნაღარია,
ისე არ ჩავალ, ცით მოსული, ბნელ სამარეში,
თუ არ შევეღებ მტრების სისხლით ჩემი ჭლარაი...“

ეს მისი ანდერჟია.

ამ ანდერჟის პატრუდება და შესრულება ისტორიამ
მიანიჭა დღეს მებრძოლ ქართველობას.

3. ნოზაძე.

ივლისი 1943 წ.

სიმონ ბერეჟიანი და მისი შემოქმედება*)

ჩვენი მეოხანი ლტოლვილთა შორის სიმონიკას
სახელით იყო ცნობილი. ეს მოუფრებელი სახელი,
სიმბოლო ჩვენი მისდამი სიყვარულისა, მისი საკუთ-
რება გახდა. ჩვენი, მშობელ კერას მოწყვეტილით, ის
ახლობელ ადამიანად მიგვჩანდა. ის იყო ჩვენი გუ-
ლისტყვიელების ნებატიანი, დღიურის დამწერი, ჩე-
ნი იმედის, სევდის და გლოვის ხან რითმებში და ხან
ლამაზ პროზაში ჩამსმელი.

მკობველს ვაწვდით ამ წიგნაკის ავტორის მხოლ-
ოდ მოკლე ბიოგრაფიას, მისი ცხოვრების მთავარ ნა-
წილს, რომლის ცოდნა საჭიროა თვით მისი შემოქმე-
დების გასაგებად. ს. ბერეჟიანი დაიბადა 1897 წელს,
პირველდაწყებითი და საშუალო განათლება

*) ეს მცირე გამოკვლევა წარმოადგენს შემოკლებულ
შინაარსს იმ მოხსენებისა, რომელიც წაკითხულ იქნა ბერ-
ლინის ქართველობის მიერ სიმონ ბერეჟიანის ხსოვნის აღ-
სანიშნაოდ მოწყობილ საგანგებო კრებაზე. ამა წლის 16
აინვარს.

წიგნი უფრო მდიდარი იქნებოდა, რომ პარიზიდან გა-
მოგზავნილი ზოგიერთი ჯერ დაუბეჭდავი და საბიოგრა-
ფიო მასალა გზაში არ დაკარგულიყო.

სიმონიკას უბედობას ისიც მივმატა, რომ დღემდე მი-
უხედავად დიდი ცდისა, მისი საფლავი ვერ აღმოუჩინეთ.
დაც, ეს პატარა ტომი იყოს, ჯერ-ჯერობით მაინც. ხი-
შანი სიმონიკასადმი მისი მეგობრების სიყვარულის და პა-
ტივის ცემისა.

8. ტ.

საქართველოში მიიღო. მას წილად ხვდა ბედნიერება მასწავლებლად ჰყოლოდა ჩვენი საუკეთესო მამულიშვილები და კარგი პედაგოგები (იხილეთ: „მოგონებანი ვაჟაზე“); რომელნიც მოუხედავად რუს შავრაზ-მელთა კონტროლისა, ახერხებდნენ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ხალი ეროვნული აღზრდა მიეცათ: ქართული ენა, ისტორია, ლიტერატურა, გეოგრაფია შეესწავლებინათ.

ქართული ქალაქი, სოფელი, ბუნება, ოხრჩობა, ბურთაობა, ნადირობა; ტრილი, ლხენა, ცეკვა და სიმღერა იყო ბავშობისა და მოზრდილობის დროს მგონის პირდაპირი ათვისების საგანი. სიმონიკამ შეისისლ-ბორცა ქართული; ხასიათი, საესებით შეიგნო ჩვენი ჩვეულებების სიორმე და გარეგნული გამოხატულებანი, შეისწავლა ერის ნამყო და აწმყო და გახდა ნამდვილი ქართველი.

შოთას, ჩახრუხადის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილიძის, ავაქის და, განსაკუთრებით, ვაჟას — „უსაყუარლესი მგონისა“, როგორც თვითონ ამბობდა, მაღალიანი შემოქმედება იყო წყარო მისი სულიერი ცხოვრებისა;

„ქართლის ცხოვრება“ — წყარო მისი ქართული შეუდრეკელობისა; წინაპარა რაინდობის თავყანისცემისა;

ჩვენი ბუნება, მისი წარმტაცობა, წყარო მისი სიკოცნლისა და მუდმივად სახლ-კარისაკენ ლტოლვი-სა.

სიმონიკამ ჯერ კიდევ თბილისში სცადა კალა-მი თავის მუდმივ იარაღად გაეხადა; მისი ლექსები, ოცდასუთი წლის წინათ გამოქვეყნებულა, მისი მგონსური მომავლის უტყუარი საბუთია (სამწუხა-

რულ ეს მასალა ჩვენ აქ ვერ ვიშოვნეთ). საერთოდ, სიმონიკა მთელი არსებით ხელოვანი იყო: ჯანდაც-ბა, მატერიალური, თვალური, პოეზია მის არსებაში ერთ-ნაწილის ბედებრიდნენ; მან უღამაზესი ხელოვნების ყველა დარგს ერთიანაწილი თავისისიხივსა და დრო-რეაქტიულებსა, მატერიალურადაც უკეთესობისა გა-მყოფ ვერც ერთი მათანის ხელობა (ხელობაც არის ნიჭიან ერთად ადვილებელი) საკმაოდ ვერ შეითვი-სა და, ჩემის აზრით, ამ მოვლენით (მისი ხელობის გა-მყოფობა, რომ სიმონიკას ნიჭმა ვერ მოასწრო საესებით მისთვის შესაძლებელ მოცულობით გასულა.

სიმონიკას ბედნიერება ჰქონდა მონაწილეობა მი-ველო ყველა იმ ბრძოლაში, რომელიც ქართულმა ახ-ალგაზრდა ჯერმა გასწია ჩვენს ახლად შექმნილ სა-ხელმწიფოს დასაცავად 1918-1920 წლებში.

„დამოუკიდებელი“ სამშობლოდან ის ევროპაში გამოემგზავრა უმალესი განათლების მოსაღებად. 1921 წელს წითელმა რუსეთმა დაანგრია ჩვენი ქვე-ყანა; სამშობლოს კარა დაეცემა ვკილას, ვინც აქ ცოდნის მოსაღებად იყო ჩამოსული და ვინც უკან დაბრუნების შემდეგ ქართველი ხალხის ღირსეულ მახორად გახდომასე უოცნებობდა. სიმონიკა ჯერ კი-დეც „ნოიში“ ლტოლვილი, საესებით დაწმუნდა, რომ უცხოეთი „ინდი მამრაცვალი გამხმარ თითებ-ში ძვირფას სივარით“ მისთვის მოუღებელი იყო (იხ. „სამშობლო უცხოეთში“, 1923 წ. ბერლინი). სა-მი წელი, ტანჯული, ულუკმა-პური დაჰყო მან გერმანიაში და ამის შემდეგ გადასახლდა საფრანგეთში, სა-დაც ცხოვრობდა 1941 წლის ზაფხულამდე. განუღმე-ბული და მძიმე ბრძოლა თეზაკური არსებობისათვის, ნაცელად მყენიერების ტაძრისა და ბიბლიოთეკისა;

გახდა მისი წილი. ეს ბრძოლა განსაკუთრებით მძიმე იყო მუღნივ მტოცნებე და ღრუსღებში მონაგარდ სიმონიკასთვის.

მოუხედავად დუხჭირი პირობებისა, ის განაგრძობდა ხელოვნების სამსახურს, სწერდა ლექსებს, მოთხრობებს. მოგონებებს, პატარა სკენებს, საოხუნჯო წერილებს ემიგრაციის ცხოვრებიდან, ხატავდა კარიკატურებს და იღებდა აქტიურ მონაწილეობას პატრიოტულ დასახველობებში; ის, თავისი მოქცევით, სიმღერით, მოხდენილად აწეჭების წაჯიბებით ქართველ ლტოლვილებს ახსენებდა, — ის ჩვენი ემიგრანტული ოჯახის თვალად ითვლებოდა.

სევედის შემოტევის წუთებს სიმონიკა თავის თავს უნახავდა, ამაში სხვებს არ ირევედა, თავისივე ცრემლებით რწყავდა მოწოდებულ ბოღმასასეთ მომენტებში დაწერილი მრავალი ლამაზი, სევდით გაჟღერებული ფურცელიკრომლის მხოლოდ ერთ ნაწილს ვაწვდით დღეს ივერიის მიწისაგან მტრის მიერ ახლად მოწყვეტილ ახალგაზრდობას.

დადგა დიდი ხანა, უტყბად, მოულოდნელად. დიდი გერმანია, რომელიც ევროპისათვის ახალი ხანის შექმნის ღონისძიებით მოველინა მსოფლიოს, უხარმანარ ევლუციონის ბუდე-რუსეთის დავტაკა შეული თავისი სამხედრო პოტენციალით. დაიღწევა რუსეთი, დაინგრევა ჯალათური დიქტატურით შეოწმებული საბჭოთა „კავშირი“, ამოვა მზე დაიგრაღელ, დაშინებულ ერთათვის და კვლავ სხეებიან ერთად მკედრებით აღსდგება ტურფა ივერი... ვფიქრობდით ჩვენ, ჩვენი მგოსანი, დღემდის კალმით მებრძოლი, გამოეშურა ელმოსავლეთისაკენ, უსიღოდა სამშობლოსთვის იარაღით ხელში ებრძოლა, სისხ-

ლი დაეღვრა. ბედნიერება თითქოს ვარს ავატუნებდა, სიხშირის საგანი რეალობის სფეროში შეტყუვას აწყებდა; ის, ჩვერა, სულ მალე დაუბრუნდება სამშობლოს და მას ეტყვის: „ეხიხოე შენი ჭალაა მთეში, ეხილე შენი ლურჯი ვილები...“

და — ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მიჯნურსა არ ვაცვეთია თამარის ქოში“

(იხილე ლექსი „შეშვიობით“)

მის წინაშე გაიშლება ხელ-ახლა სამშობლო.

„ეისკ ნახე ვერე“ სწავროდა და რომელსაც: „მთვარე ქათობას უტყრავს,

მზე ოქრომკერდით უღვლისა“.

და რომელიც: „ხან თეთრ კანასა ჩაიკვამს,

ხან შავსა — ქირისუფლისა.

სულ მდამე კობტა ეი არის,

კვავსა მე იმის სულისა“.

(იხ. პოემა „მამა-დავით“).

მგოსანმა იქნება მტრის ჯალათების მიერ დახოცილ, მიწისათვის უცნობ ადგილას მიგდებულ მამოა საფლავებიც ნახოს, მათ წინაშე მოვიდოდა მოხადოს, ორიოდე კრებლი მათიც დააპყროს, რადგან უნათი შორის, მშვენიერ საფრანგეთში, მას მხოლოდ მოგონება თუ შეეძლო:

...მე ვიგონებდი იმით საფლავებს,

რომელთაც მიწა ვერ მივაყარე.“

შეიძლება ევრა-დანგოულმა და გლოვით დავტირთულმა ქართველმა გლეხმაიც, ისე, როგორც თემურ ლენისა და შაჰ-აბასს შეეცობას გადაჩინოლმა წინაპრებმა, სულ მალე ნანგრევებში ცვეტლი დაანთოს, ბუზრიდან თეთრი კვამლი კვლავ ატურღეს ცისაკენ, ამბიონდეს ყნა, იქნება მადლიან და გა-

შლილ მკვირიდან ამოჭრილმა სედიანმა „ჰარალემ“ და მკვირცხლმა „კრიმანქულმა“ სმენა მოიცვას? მაშინ ხომ რეალური, დროული იქნება ის, რაც ოდესღაც შორს, რაღიან შორს მგოსანს უგრძენია და ქალღმერთს გადაუტარია:

...ვიგრძნობ შეება, განათლდა გული.
ესთქვი: კვლავ იმეფებს ჩემი ქვეყანა,
თუ გლოვის ნაცვლად მესმის ურემული,
და გმირთა ძელებზე მიბინებს ყანა...

ან და:

...იმღერე, გლგოს! ჩვენ გადავარჩენს
შენი „ჰარალე“ და „კრიმანქული“.

(იხილეთ ლექსი „ურმული“)

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სიმონიკას არსებან 1941 წელს ასეთი წარმტაცი იმედები დაეპატრონა: სამშობლოს კარები მას უკვე განხილი მოეჩვენა. ფრთებშესხმული იქით, შავი ზღვის ნაპირებისაკენ გაექანა, რომ ხელ-ახლა ეთქვა სათაყვანებელ ქვეყნისათვის:

...მომეცი ნება,
შენს მივებს, შენს ქალებს
მივესალმო მე ქველებურად:
...ზაზმაროს ნისლში
გავეხეო ტებილი ოცნება.“

(იხილეთ ლექსი „გურიას“)

უბედობამ დაასაპრა მგოსნის აღტაცება: ავადმყოფობამ დასძლია მისი სუსტი სხეული და ისე დასტოვა ეს ქვეყანა, რომ ვერ მოესწრო ტურფა ივერიიდან რუსის ხიშტების გაქრობას.

უკანასკნელ წუთების განმავლობაში სიმონიკასთან არ იყო არც ერთი ქართველი. ვერ გაევაგონეთ

ქართული სიტყვა: ვერ შეეხადით მისთვის საუკუნო ბინის სამშობლოში დაშვიდრებას. იქნებ სევდიან მგოსანს საფლავში მანც ჩაჰყოლიდა რწმენა, რომ ოდესმე შესრულდება მისი ოხოვნა:

...მომინახულეთ. სოქვით სიმღერა
ტბილი, საამა:
ჩვენი „ნადური“, „ოთხი ნანა“,
„ხასანბეგურა“.

იქნება კიდევ სწამდა, რომ ოდესმე საფლაგიდან თავის სოფელს სთხოვდა:

„თუ სოციალურში არ მეღირსა
უცხო შაბრიდან,
რომ მეთქვა შინთვის სიტყვა მკვირცხლი,
სიტყვა მახვილი,
ნული დამიშლით, გურულებო,
მუნჯ სამაბრიდან
მეც გაგავანოთ ჩემი ბანი,
ან მოძახილი“.

(იხილეთ ლექსი „გურიას“).

ვერც მეორე ანდერძი ავუსრულეთ მგოსანს:
„როცა მოკვდებით, ჩამაცი ჩოხა,
წამიკარ თავი თეთრ ყაბალახით:
ჩემს სამარზე გაშალე ნოხად
მინდერის ყვავილი მუქან ბალახით“.

აქ შექველად შშობლიური მიწის ბალახი და ყვავილები ჰქონდა მას მხედველობაში. მაგრამ, ჩვენდა სევდიანად, უადრეს სასოწარკვეთილების მომენტში გამოითქმული სურვილი:

...ნუ დამაკურებ ცხელსა ცრემლებსა...“
„ბნელსა ორმოში დამტოვეთ მარტო...“

(იხილეთ ლექსი „უკვდავება“)

საქართველო, ქალაქთბილისი
ბაქოში მისი მისიონერების

საესებით შეესრულდა: ქართულ სრულს არ დაუსველებია მისი გაცივებული სხეული, ქართულ ხელს ჯერ-ჯერობით არ გაუშლია მის სავლაგზე ნობად „მინდვრის ყვავილი მწეანე ბაობით“.

და მიემატა ჩვენი დედის ძეძული დაბურებულ „ჩვენი დედის ნანათი აღზრდილ; ჩვენი დედის ერთ აბეტყველებულ ახალგაზრდათა ათეულ-ათასეულების მიმკუთვნიებელ ჩრდილოელ მიწას თავდადებული მამულიშვილი და მგოსანი.

სიმონ ბერეჟიანის შემოქმედება, ყოველ შემთხვევაში ის, რასაც მე გაეცანი, არის მხოლოდ და მხოლოდ ერის პოლიტიკური უბედობის მსაფრე ანარქიკლი. არც უდიდეს მთაზროვნეთა გამოთვრებელი ფილოსოფიურ - სარწმუნოებრივი პრობლემები, არც ანიკობა და ლამაზ, ესმით დამპაირობელ არსებათა აპოლოგია, არც პიროვნულ ნიადავზე ვაზრდილი შვეება ან ტანჯვა არ სჩანს მის ლექსებში და მოთხრობაში (ჩვენ მხედველობაში გვაქვს „ნიკოლა“ „საყურადღებო რომანი სიმონიკას ნიქის, როგორც პროზაიკოსის გამომკვლავნებელი, სამწუხაროდ დაუსრულებელი; მხოლოდ ორ ნაწევრტს ვთავსებთ ამ კრებულში). უეჭველია სბერეჟიანი ბუნებით ხელოვანია, მისი შემოქმედება მრავალფეროვანიც იქნებოდა, მაგრამ შობილი ერის ცხოვრებაში გარემოებათა განვითარებამ სხვა მოვლენები და სწრაფვანი დაჩრდილი, პერიფერიაში გადასტყორცნა; უფალი სამშობლიო დაბრძანდა სრული ბრწყინვალეებით ხელოვანის მთელ არსებაში და იქიდან გვასმენს უსაზღვრო ტანჯვის სიმფონიას, რომელიც ძალიან იშვიათად თუ დაუშვებს, დიონანსის მგავს იმედის კრიმანჭულს.

მგოსნის გული დაწყლულბულია, მაგრამ აქაც ის ერთგვარ ნეტარებას ხელდას:

„ოპ, სწირად მიძიძის
დაწყლულბულ გულის ტარება!
მაგრამ ჯვართცაში
არის ოხებაც და ნეტარება“.

ადიან მისი გულის დაწყლულების მიზეზი სამშობლო და სამშობლოს მიჯნურობაა, რომლის თავდადებული სამსახური ხომ ჩვენი მგოსნის უწმინდესი იდეალია, მისზე ლოცვა მისი გაღმერთება, მისი შემოქმედების ლეიტმოტივია.

მოუხმინეთ როგორ წარმოუდგენია ხელოვანს ჩვენი ქვეყანა, როგორ ხატავს ჩვენს ბუნებას მისი გმირი, ქართველი გლეხი პავლე:

„ხიდიან მოვიდენ. გახიერო მდინარე უხმოდ მძიმელ მიზლახნება მთვარის შექნე...“ პავლე შედარებას ახდენს: „ჩვენი ქვეყნის მდინარე უფრო შიარულია. ვგრე როდი დამუნჯდება... პი, რა შორს არი ზეცა! მთიარეც რა ქირვეულათ ანათებს... ვარსკვლავები სადღა ვაქჭრა?! მთცა... იპ, მუხი კი დაგაყარეთ! დახე, დახე, როგორ ბელტამენ. ჩვენი მიწა წყალი სულ სხვაა, შვილო. აი, ტა, ტა, ტა, სად ვილულებით! ჩვენი მიწა ზეცასთან ახლო სცხოვრებს, ყველაფერს ზევიდან დასქქერო: მთიდან მთასა, ველიდან-ველსა, ბელიკიდან-ბილიკსა. მთვარეც პატარასლივით თავზე დაგქათათობს, ვარსკვლავები ახალციხის მწიფე ვაშლებივით სხედან ცაზე. ვგრე გგონია, ხელით მისწიდება, დაქკრეფ და უბეში ჩაილავებ“.

(იხილე ჟურნალი „ქართლოსი“, №1, 1937 წ.).
აქვეტრობა მოგვცა ლამაზ და ორიგინალურ შედა-

4
F1497

რებზეში მოხაზული სურათი ქვეშაირტად სანტარო ქვეყნისა, სადაც მოთესლია ნანგრევებდ ქცული ან ჯერ კიდევ ამაყად მდგომი უთფალავი ძეგლი, საბუთი ჩვენს წინაპართა დიდი კულტურისა, შრომისა და შემოქმედებითი ნიქისა.

ყოველგან დაღვრილია სისხლის პორევი თავისუფლების ხან შესანარუნებლად, ხან კიდევ აღსადგენად, ჯვარი ვაზისას დასაცავად, ლეთისშობლის წილად ხედომილ ქვეყნის გადასარჩენად... მაგრამ მაინც ბოროტმა და უხეშმა ძალამ გამარჯვება თავისუფლება, ეროვნული ხატო თავმოყვარეობა ფეხქვეშ გათელილია. მგოსანი, შინ შემოკრილ ყაჩაღთა გამკლავების არშემკლე, გულს მაინც იმაგრებს.— სიკვდილის შემდეგაც არ სერს გატეხილი ადამიანის ელფერმა მოიციკას:

„გამარდი გულ ი! რამ დაგაღონა?
შევსვათ პეშუებით შუქთა კრებული,
რომ სამარეშიც განგების მონა
არ ჩავესივნო ვაფთირებული“.

(იხილე ლექსი „მარადისობა“)

არც ეს არის ბედის წყველა, როდესაც მგოსანი თავისი სევდის მიზეზს აძლევენებს:

„მაგრამ იმ მიწამ, მშვენიერმა, მე რომ აღმზარდა
მოთხარ რა მოგცა, ჩემო გულო, ცრემლების ვარდა?
ან და:

„და ერის სევეა. ერის ცრემლი, ვით ცხელი ტყვია
მე დამაქეს გულით და კრილობა მძიმე მატყვია“.

(იხილე ლექსი „გული“)

დიალ, მიჯნურობა. განსაკუთრებით ტანჯული ქვეყნისა, ბოლოს წყაროა; მძიმე კრილობის ტარება, ამ შემთხვევაში, საამაყო და აუცილებელი მოვლე-

ნაა, მით უმეტეს, რომ მგოსანს თავისი მოვალეობა და სურვილი ღრმად აქვს შეგნებული:

„ვარ ჩემი ქვეყნის გულ-დამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო“.

(იხილე ლექსი „მგოსანი“)

საუბედუროდ საქართველოს ცაზე იმედის ვარსკვლავი არც თვითონ გამოჩნდა და ვერც ჩვენ შევიძლით ჩვენი ქვეყნის ეკლიანი გზიდან მოცილება. ხან იყო წყევლი: კაცნი სამართლიანობას გაურბოდნენ, უფლებას ფეხით სთელავდნენ, პირუტყვული ეკლიზმით შთვრალნი კეთილშობილურ საქმეს ვერ აკეთებდნენ. და მსოფლიო ხომ კაცთა კრებულაა. ძალა, ფული, მატერიალობა დაეუფლა ღელამიწისა. საღ, ვისთან უნდა ეძებნა სამართლიანობას დამცველი? პო, მართლა, აჭაიჭ, მტერიოვით გამოჩნდებოდა ორიოდ ქვეშაირტი ადამიანი, მაგრამ მათი სიტყვა უდაბნოში რაღადათ ჩრებოდა. და ჩვენს ნაზ პოეტში იღვიძებს, მისთვის არაბუნებრივი, დაუნდობლობის და შურისძიების გრანობა:

მე დავიბადე ცხელ ლითონის და ცეცხლის დროში;
ტყვიის ზეზუნმა დამეფიწვა დედის ნაწინა...

თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე,
შბოლოდ სისხლისთვის ვინმეობსთ ჩემი ზღკე-ნაღარა!
და კიდევ უფრო შორის მიდის სამშობლოს ტანჯვის გამოძახილი:

თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი
დე, მტვრად ქვეულიც დამენახოს მთელი სამყარო!“

(იხილე ლექსი „მგოსანი“)

ასეთია უსამართლობის მსხვერპლის შვილის თავგანწირვა... „დაე, მტვრად იქცეს მთელი სამყარო!“ მერე ჩვენ განა ამით გვეშველება? მაგრამ მისი ნერ-

ყენიც დაიღალა კაცთა ვულცეობამ, მისი გული აკუნესა მოძალადე მტრებმა და რა უყოთ, თუ ასეთ წინადადებაში გახვია მგოსანმა თავისი უსახლერო გულისწყრომა?!

ამგეარად, ჩვენ ვხედავთ, რომ სიმონიკას პოეზიის ტრეშვირატურა საქართველოს გულისცემის თანმიმდევრია. მის გაგიჟებით უყვარს ტურფა სამშობლო. მაგრამ ეს გრძნობაც არ არის ეგოისტური ნაციონალიზმი. მგოსანი აღმერთებს თავის ქვეყანას არა მართა როგორც ქართველთა მშობელს, ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს იმიტომ, რომ საქართველოს საკითხი ყოველი კეთილშობილი ადამიანისათვის სამართლიანობის საკითხია; მთელი ის გიგანტური ბრძოლა, რომელიც ჩვენმა ერმა საუკუნეების განმავლობაში გასწია, არსებითად და სწორად გაპქვერტილი, არის სამართლიანობის სამსხვერპლოზე მიტახილი დიდი წვლილი.

ყოველ ერს აქვს თვითარსებობის უფლება და ამასთანავე ხშირად თვალთუხილავი მოვალეობა, საერთო მნიშვნელობის ფუნქცია. ყოველი ერი ძვირფასი მარგალიტია. სხვებთან ერთად ჩვენი დედა-მამის დამამშვენებელი. ერის მოსაპობა, ქვეყნის გაღარბებას ნიშნავს, ერის დამონება—ქვეყნის ორგანიზების ერთი ნაწილის თან და თან ატროჟიას, გაჭრობას. ჩვენი ერი, საკაცობრიო ძვირფასი დოკვათის შექმნის ღირსეული მონაწილე, იბრძოდა ამ გაჭრობის საფრთხის წინააღმდეგ. იბრძოდა თვითარსებობისათვის. ვადი კითხვით 1918 წლის 26 მაისს ჩვენი დამოუკიდებლობის დეკლარაცია: „საუკუნეების განმავლობაში საქართველოსათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო თვითარსებობისათვის ბრძოლა. საქართველო

იბრძოდა თავისი სულთერი ხაზის, ეროვნული სტრუქტურის და ტერიტორიის შესანარჩუნებლად, მაგრამ ამ ბრძოლის ხაგანი იყო ყოველთვის თვითარსებობის გადარჩენა და არა სხვები არსებობის საფრთხეში ჩაყენება“.

აქედან: 1. საქართველოს უფლებმბათვის მებრძოლი ქართველი არის უწმინდესი იდეალის ჯარისკაცი.

2. ქართული ნაციონალიზმი სწორედ გაგებული და სწორედ მიმართული არის კეთილშობილი მოუღენა, ნაციონალური ეგოიზმის ანტითვება, მოპირდაპირე, სხვისი არსებობის ხელშეუხლებლობა და პატივისცემა.

ღიად, სპეტაკია ჩვენი წარსული, დიდია ჩვენი ეროვნული მირალი, კეთილშობილია ჩვენი საუკუნეების მანძილზე გაწეული ბრძოლა.

სამართლიანობა, მათფლიოს ხსნის და ჭირთავან განკურნების ერთადერთი წამალი, არის ჩვენი უფლებების საფუძველი.

უფლება ჩვენს მხარეზე იყო, ძალა და ვედურობა — რუსის მხარეზე. და ჩვენს მგოსანს სული ეხუთებოდა, რომ

სამშობლო სამართლიანობის სიმბოლოა;

სამშობლო უსამართლობის მსხვერპლია.

სამშობლო ხიშტის უფლებების მქონის ფეხით გათფლილია, და არ აღმოჩნდა ამ ქვეყნად ძალა, რომ მის მიეშველოს.

მაგრამ სიმონ ბერევიანი ხომ ქართველი იყო და ჩვენ ხომ იმედი, ბრძოლის უნარი წინაპრებმა გვიანდერძეს. შოთას სიტყვებზე წმინდა ლოზუნგებად გულის ფიტარზე გეასწრია: ხან ტარიელისებური

პირდაპირებით, ხან ავთანდილისებური მოხერხებით მტერს ჩვენში მშვიდად ბატონობის საშუალებას არ ვაძლევდით; ჩვენზე ბატონობა არასოდეს და არავინ-სათვის განცხრომა არ ყოფილა.

და უკანასკნელად საქართველოს დამანგრეველ რუსეთსაც შევებოძოლეთ. უფალმა უწყის, რამდენი დიდი გმირი გამოიწია ტანჯულ ქართველ ერს, რამდენი გმირის სახელიც კი არ დავგვრებთ, რამდენი თავდადებული წარმოიშვა ეროვნული თავისუფლების იდეამ. და როდესაც ამ გმირებზე, „რომელთაც მიწა ვერ“ მივაფარეთ, ფიქრობს სიმონიკა, მის გულში იმედის სხივები შეიჭრებიან. მოვლსმინოთ თვითონ მგოსანს, რომელიც თვით პოლიტიკურ სიტყვებშიაც პოეტური დასაბუთებით გამოდიოდა: „განმეორდა ქართული ისტორიის ძველი ამბავი. შემოიჭრა მტერი ცეცნლით და მახვილით. ჩვენც მახვილით დავეხვდით. დაემარცხდით... ავჯანყდით. ისევ დაემარცხდით. დიდი მსხვერპლი გავიღეთ“... მაგრამ 1921 და 1924 წლების ტრაგედიაში ერთი ფრიად აღსანიშნავი მოვლენა იქცევს მგოსანის ყურადღებას:

„ეროვნულ სამსხვერპლოს წინაშე ერთად წარსდგნენ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი კოტე ახახაი და ნ. ხომერიდი, ვარდენ წულუკიძე და ბ. ჩხიკვიშვილი. დიდი ლოზუნგით: საქართველო უწინარეს ყოვლისა“ (იხ. ვახ. „მ. ბ. „ჭირსა შინა გამაგრება“ №98) ეს პიროვნებები, სამშობლოსათვის თავდადებულნი (და სხვები, ძალიან ბევრნი) ეკუთვნოდნენ სხვა და სხვა წოდებას. მსოფლმხედველობას, პარტიებს, მაგრამ მათთვის მხოლოდ სამშობლო იყო უწინარეს ყოვლისა. ეს იყო ჩვენი ძალა: მტრის წინაშე, სამშო-

ლოსათვის ბრძოლაში მთლიანი, შედუღებული ერთაობით.

ჩვენი ეროვნული გმირი, ტყველ გაჭირული ჭიხობს-რო ჩოლოყაშვილი იმიტომ ახდენდა სასწაულებს, რომ მას მთელი ხალხი უმაგრებდა ზურგს. მგოსანი ადიდებს მას, წინაპართა ვაჟაკობის და რიხილობის გამგრძელელებს. ჩვენი ქაქუცა უცხოეთში მოგვიტყვდა, მაგრამ მგოსანს არ სურს ეს დაიფეროს:

„არ დაიფეროთ, რომ დაჭრილი ვაქვს არწივი გამოყვალმა მთის მწვერვალებს დღეს. სამუდამოდ.“

მე ამის ვამბობ. და ეს მეფერა. ვამბობ იცით რას? დაჭრილმა მკერდში, დაჭინცულმა ბოლოს ინება ნაბადის ვაშლა რბილ მწვანეზე ღიდ მუხის ძირას და მიძინება.

(იხილეთ ლექსი „შეფიცულებს“)

და საქართველოს „გოგებს“ ტყუილი იმედი აქვთ: საქართველოს მაგარი ბერებმალი აქვს; და მალე, თუ მკვდრებით აღდგომა არ არსებობს, სხვა ქაქუცა მანც დასცემს ზარს მტერთა ბანაკს.

იმედი თან ასლავს სევდიან სიმონიკას სევდიან პოეზიას:

„შორსა ვართ, შორსა და გვესიზმრება
ღვთისმშობლის კუთხე, ჩვენი ედები.
მაგრამ გეინათებს გზებს იმედები.“
ჩავატყდა გულში სევდა ისრებად,
„ბედმა გეიმტხოლა: გვესროლა ბადე,
მაგრამ ცრემლები არვის ვეატყვია.“

(ლექსი: „ბასუხად ორდენოსან მგოსანს“, იხილეთ ვახ. „თუბანი გიორგი“, №90, 1935 წ.). რადგან მგოსანმა იცის, რომ იქ არის

„ისეც ის მთები! ისეც ის ზეცა...“

... „ორ ნაწნავებად“ გადმოკეცილი
ფარჩის კაბაზე მტკვარი-რიონი“;

სქელი ყანა, ლობე, ჭიშკარი, ხალხი. იქ — სამშობ-
ლოში არსებობს... თუმცა „გატეხილ ხელას დასწხა-
ვის ყვაევი, დამპალ სვეტებზე ქინაობს ოდა...“. (იხ.
ლექსი „ნასახლარი“), მაგრამ ოჯახი მიიწე ხელ მო-
სამობილი არ არის... ნასახლარზე სახლი აშენდება,
ხელ — ახლა ცხოვრება გაიადლება. და თუ
თავისუფალ საქართველოში მტერს შხამიანი
თესლი დაუტოვებია, უღელახსნილი ხალხი იმასაც
მოსამობს, სადაც და რა ფორმის არ უნდა იყოს ის:

— და თუ ჩვენს ბაღებს, ჩვენს ყვარელს ვაზს
უდგია სკვითელ ლენინის სული,
ბაღებს ამოსთხრის, ვაზებს გადასწვავს,
რომ მოსპოს სენი ვენერიული“.

(„პასუხად ორდენოსან მგოსანს“)

ერი ბელ-ახლა გაჯანსაღდება, ბედნიერ ხანას მო-
ესწოება.

სევდა, მაგრამ არა უიმედობა, ერის ტკივილით
დამწუხრება. მაგრამ არა სასოწარკვეთილება, და-
პარტება, მაგრამ არა გულგატეხილობა. სამშობლოს
უსახლერო სოციალური და მით გამოწვეული ტან-
ჯვის განცხრომად ჩათვლა; ბრძოლის სურვილი
თავგანწირვის წმინდა მოვალეობად აღიარება და
ამ რწმენის განხორციელება, ეროვნული მთლიანო-
ბის იღვის მნიშვნელობის შეგნება და მისი სინამდვი-
ლედ ქცევა. . .

ასეთია სომონ ბერეკიანის პოეზიის მოტივები: ამ აზ-
რებს უმღეროდა მისი ფანჯარი.

და ჩვენც, ქართველებო, შევივინოთ ამ აზრით სი-
დიდედ და ქვეყნარტება და... სანამ ცოცხალნი ვართ,
ჩვენი მთელი ჭკუით და ღონით, მთელი არსებით მათ
განხორციელებას ენებახურთ. მხოლოდ ამ გზით
გამოვადგებით მარადიულ საქართველოს...
და ვისაც ბედი გაუღიმებს, ვინც საშინლად ატე-
ხილ ოჯახის ტალღების ქვეშ არ მოექცევა, ვინც კი-
დეც ეროვნულ თავის ფილტვებს აიესებს ჩვენი მად-
ლიანი ჭაერთი, ვინც კიდევ მოისმენს-მტკვარი-რიონის
სიმფონიას, ვინც კიდევ თავბრუდაზავული ვადახე-
დავს გაათრბული ენგურის, კოდორის, ბზიბის,
ალანის, ლიხვის და ჭოროხის სრბოლას, ვინც კი-
დეც მიესალმება ჭაბრა მყინვარს, ვინც კიდევ იხი-
ლავს ჩვენი იმედის, ქართველი ბავშვების, შხიარულ
რაზმებს, ვინც კიდევ გაშლილი მკერდით და მთელი
არსებით იქ შემოსაძებს ჩვენს „დიდებას“, ვინც კი-
დეც დიანახავს ჩვენს სასახლეს, ჩვენს თბილისში
ჩვენივე ხელით აფრიალებულ სამფეოვან დროშას,
დაც, იმ ბედნიერებმა დავიწყებას არ მისცენ ჩვენი
მგოსანი, ჩვენი საყვარელი სიმონიკა, რომელმაც მთე-
ლი თავისი სიცოცხლე სამშობლოზე ზრუნვას შეს-
წირა და რომელსაც, მსგავსად ოდესდაც უცხოეთში
ივერზე მომტირალი არჩილ მეფისა, ვახტანგ მეექვსე-
სა, სულხან-საბა ორბელიანისა, ბაქარისა, ვახუშტისა,
დ. გურამიშვილისა და სხვათა წილად არ ხვდა თავისი
გაცოცხებული სხეული შშობლიური მიწისათვის ჩაე-
ბარებინა.

მ. ტაღუნი.



სამშობლო უცხოეთში

ყანაში კალთით შეიშრო ოფლი
და ამოავდო თიხით ბალახი;
პაერში ოხვრა დაჰქროდა სოფლის
დანეულ ჩონხით და ყაბალახით.

მოსწანდა ლელე, თხმელები, ოდა,
ნალაი მზეზე დამწვარ ყანებით;
და საცვეთებთან დასეირნობდა
უხეში ჩექმა დედის გინებით.

მე ხშირად ვფიქრობ: გაირბენს წლები
და მეც დავტოვებ ცივ დიასახლისს;
უცხოეთიდან გადვიმალეები
და დავაწვები სოფელში სახნისს.

ნეტაც ვიცოდეს: გრილი ქაღარი
თუ ამიწეწავს სიყვარულით თიხებს?
შავი მურია ნეტა სად არი?
იქნებ აშინებს შეზობლის ქათმებს.

გაირბენს წლები ძველებურ წესით
და დახაკებულ წისქვილის ქვებთან,
გათუთრებული, ვერცხლის ანკესით
ხომ ვითევ ხავებ სოფლის ბიჭებთან?

და უცხოეთის ქარის ნაველში
ასე იცვლება ამ დიქტოთა უარი:
მოგა წარსული მოკლე შარვაღში
და შავი ქალი გატეხილ-ჯვარით.

და ქალი ამბობს: ხედავ ამ ცრემლებს?
შენი სამშობლოს მომავალია.
წარსული, თვალზე იფარებს ხელებს,
მეთამაშება კუკუბალიას.

როგორ დაბნელდა! ჩემი ოთახი
აივსო ღამის მძიმე ფიქრებით.
ბევრჯერ მკავს ღამე ჩემთან ნანახი
და ვგრძნობ, რომ დღესაც ერთად
ვიჭებით...

პირველი თოვლი დაეცა ქუჩებს.
პირველი თოვლი მე მომავონებს
მიცვალებულის გაყინულ ტუჩებს
და თეთრ კაბებში მორთულ გოგონებს.

როცა წარსული გარდაიცვალა
თეთრი კაბები შევლევ შავად
და აიყვანე ავი შენავე
უცხო ქვეყნებში მიმინაცვალად.

და ყოველ დღით, მამე საყვირი
და ხმა მენავის მოიტანს ცნობებს,
რომ შორს დავტოვე მწვანე ნაბირი,
რომ სამუდამოდ ვტოვებ ნაცნობებს.

მწვანე ნაპირი იწვია ცუბოში.
და როცა ნაემა ფრთები გაშართა,
დამარხეს ჯგერაი, ფარხმალი, დროშა,
მთელი დიდება ჩვენს წინაპართა.

წარსულს კრილობა ბეკრგან ატყვია...
მე, ნახსოვს, ზვირთებს დაეადე ყური;
მესმოდა: თბილისს ვესროლეოთ ტყვია
და დავფარეთ შებდევ ლეკური.

ზვირთები მიჰყავთ თმაგაშლილ ქარებს;
დიდი შინდორი ზღვის ვანაცვალე.
გამხმარ თითებში ძვირფას სიგარებს
ამოღებს დინაჯი მამინაცვალი.

კვამლი ესევია ქალაქებს, ჰქრება;
და ბნელ ქუჩებში მე ბევრჯერ ვნახე,
ჩემს მამინაცვალს რომ ემუქრება
წითელი დროშა, ყვითელი საბე.

ვნახე სიჩქარე და ამ სიჩქარეს
ვერ შევუფარდე ცახცახა ფრთები;
ვერ გავატანე აწყვეტილ ქარებს
გადამალული ოხლად ფიქრები.

მე ქართველი ვარ და ზანტი თვალის
ვერ მოვაშორე მოწყენილ სივრცეს.
მიყვარს უმიზნოდ გზები სავალი
და მამინაცვალს ნეტა რათ მიმცეს?

მომშენებს ჩოხა, ვიწრო საცვეთი,
შეკრილი წელი, ოქროს ქაშარი
და უკან დამრჩა აღმოსავლეთი.
გამოუტყნობი ჩემი სიზმარი.

მ. კვიციანი ფრთხილად და მთვადებში
გაყინულ რკინით შეგაქულ ქარებს.
მაგრამ მამინეც უკან ებრუნდები:
გული ცივ რკინას არ შიიკოებს.

და როცა წინსვლა შეიქნა ძნელი
და მეგობრობა დრომ არ ინება
ქვაფენილებზე ველარ შექმელი
ნებადის გაშლა და წაბრება.

და ესლა ათოვს გაყინულ ქუჩებს,
და რაგორც მორცხვი ნომი ბიზები,
როგორც პირველი კოცნა ცხელ ტუჩებს,
ესტუმრინენ ოთახს მოგონებები.





ე მ ლ ო

წერილს ელოდა
 ემლო ელოდან.
 ელოდა, ელოდა
 წერილს ემლო და
 თანაც მოეწოდა:
 — რა ვქნა, რა ვახდა ლაონიითი,
 რატო არ მოიხდა ფოქტალიონიითი...
 ერთ დილათ
 დაღლილი,
 გასერა ლი შტვერში
 სამუშაოდან დაბრუნდა ოტელში.
 — მუსიო, ვოტრ ლეტრა!
 კი ვერ გაიგო,
 გარდა მუსიო-ს, სიტყვა ვერც ერთი.
 წერილა აიღო.
 გაწითლდა... მიხვდა: — წიგნია ელოს!
 უთხრა: მადამ ჯან, ლმერთმა გიმშველოს!
 დაუქრა თავი და
 ოთახში აკრდა.
 ხელ-პირი დაიბანა.
 მოაშორა ქანგი.
 ჩაიკვა ახალა პერანგი.

სარკეში ჩაიხვდა:
 ელოდა მუხი დიდიგობა,
 ქოჩორი ვადუვარჯხნა.
 ფიცებს მაგრად გული:
 წერილი ვახსნა:
 ... წერილი ფრანგული?
 — მადამ ჯან, მადამ ბოენი
 ოპ, მუსიო, ილ ნი ა რიენ.
 ნე ფეტ პა-ზატანსიონ,
 სურ იუნ პეტრ კონტრიბუსიონ.*)

ერთ საღამოთი,
 (იქნებოდა საათის ათი),
 გასწვილი მტვერში,
 ერთავად თეთრი
 დაბრუნდა ოტელში.
 — მუსიო, ვოტრ ლეტრა!*)
 წერილა აიღო.
 — წყალმაც წაიღო
 თქვენი ფრანცია!
 — მადამ ჯან, ტუჟურ კონტრიბუსია?!***)
 შეეცადა ოთახში.
 ლოკინზე გაითხლარმა.
 ელემტრონი ანთო და
 წერილი ვახსნა ზანტად:

*) კოლბატონო-ჯან, კარგო კოლბატონო!
 ოპ, ბატონო! ეს არაფერია, სუ აქცევი ურადღებეს,
 ეს არის პატარა ვადასახადი.
 **) აქვენი წერილი, ბატონო!
 ***) ყოველთვის ვადასახადი!

ქმარი ჯან, ძამავ საყვარელო. ემლო ძვირფასო!
 ცრემლით დასწვრა შენმა ელომ ყოველი ასო.
 ეს, სამართალი არ არსებობს ჩემთვის ზეცაში!
 რად დაგვაობლევ, რითეინ წახველ ზაგრანიცაში?
 იშტა, მერჩინა დაგემარხე ცეცხლად მიწაში.
 ვითელის სალამსა შენი შევლავ, პატარა ილო.
 სულ მეკითხება: სად წავიდა ჩემი მამილო?
 გულს ნუ ვაიტებ, ჩემო ქმარო, არ გვწყალობს ბედი,
 მაგრამ ამ ბიჭსა გამოგიზრდო, გქონდეს იმედი.
 სხვა რა მოგწერო მუდამ წამს და ეამს სანატრელო.

გწერს შენი ელო.“
 „ემლო ჯან, ემლო! რო წამოხვალ, შენ გენაცვალე;
 თორთი ბელი წამოგვიღე ნარძის საცვალი.
 ტანთა არა გვაქვს, ტიტლიკანებს გიწყურია, გეშია,
 მეწველი ძროხაც კი წაასხეს კოლექტივშია.
 აჲ კი მშვედობით თვალის ჩინო, ძმავ საყვარელო.
 შენი და პელო.“

ელოდა, ელოდა
 წერილს ემლო და
 ნეტა არ მიელო!..



მ გ შ ა ვ რ ი

1.

წამიქცევს ქარო ეზოში მუხას,
 წაღვავს გიგი მდინარე ქალებს.
 დავინთებ კოშკში ძველებურ ბუხარს
 და ცეცხლი წარსულს ააშრიალგებს.

გამოვიარე გზა სევდიანა...
 კოშკში დავეძებ დღეს თავშესაფარს.
 და დედაბერი ბრმა, კუდიანი
 ჩემ ცხოვრებიდან მიამზობს ზღაპარს.

და მე არ ვენაობ, რომ მეფის შევლმა...
 შუბი გასტენა შრძოლიში ქართან,
 დამარცხდა ჯგარი. არ არის შეველი...
 და ღონე მიხდილს სძინავს ბუნართან.

იწვის ბუხარი. ყურს უღდებს ზღაპარს...
 ხალიჩით ნაფენ ძველ საეპიქელში
 ზის საუკუნე, ჰგავს ჩემს წინაპარს,
 ფეხმოკეცილი ჩიბუხით სელში.

2.

ღაიბადება მთვარე ახალი
 და ზეცა ღრუბლებს ვაღაიფარებს.
 სეტყვა, გრივალღი და ქარიშხალი
 ეომებიან ვალავნის კარებს.

ყოფავი მეფე და ვეფარი ზღაპარს.
მოგვეღებო, ისევე გამოვლავებო.
ძველ კოშკებიდან დავანთებ ლამაზარს
და მზეთ - უნახავს ჩავესიძებნი.

ეგვიბს ვუბრძანებ: დამაკლდა ხედვა
და ვიღრე ღამემ თმებში გამბა.
მომგვარე ავიყო მკვირცხლი, უჩრდნი
და საქორწილო მომართვი კამა.

არც სინანული, არც თავის დახრა...
ზეცამ მარჯუნა ეს ბედი წილად:
უძლურა მეფე ქარში უმაყროდ
მივემგ ხავერები დღეს საქორწილოდ.

3.

თაფლის სანთელი, შავი ხატები.
„თქვენ მოგაშურებს კირში ყოველა.
„მძიმედ დაქრილი დავეხებები...
„დაზლოცეთ, თქვენგან შევლას მოველი.“

„ჩემი ბავშობა გახსოვს მარამ?
„თეთრი ბელებით გთხოვდი შენდობას.
„დღეს კი ისეთი ცუდი დარბა.
„რომ ჩავეხუტეთ ქსელში ობობას.“

„ნუ დამაბრუნებ გზიდან უკან მე.
„დე, ვერ გზილო სასუფეველში,
„ოდონდ არ ვიჯდე ვით საუკუნე
„ფეხმოკეცილი, ჩიბუბით ხელში“.

— იმნი! — იძინის ბრმა კედლანი
და გამიზარ ხელეებს ჭარში არწევს...
და მეც ვადავკრავ მგზავრი გვიანი
მოწამულს ღვინით ავსებულ ყანწებს.

4.

მარტოდ ვარ, მარტოდ... დარბაზში ბნელა.
ბუხარში ბეღტებს მუგუზლის ალი...
უცებ ვილაკამ ყრულ ჩაახველა,
ზმა შემომესმა დინჯი, დაბალი:

„სად მიხელო შეილო? ქარი ჰქრის ავი.
ლაშვი ბნელი, გათენდეს დილა.
გზებს დასწოლა ნამჭერი, ზეავი...
მომიჯექ გვერდით: ბუხარის პირ თბილა.“

— მშვილობით! გცმის, მცმხის ქარი
და, შეკაზული კინწინებს ცხენი,
ნუ მომგონებ წყევლით, მუჭარით,
როს გაგამწარდეს მოხუცსა დღენი.

სეედიან თარზე ვერ აატირებს
ძველებურ ჰანგას შენი პოეტი.
ველარ შოიტან შან ნანადირევს:
გაგეტკა ქორი და კაპოეტი...—

5.

ჩემო მერანო გადიქვე ქარად!
გაქაფე მკერდით ტყენი უეალი.
სად მამამ ბრძოლით დღეს ვაიარა,
გაივლის მედგრად ხვალ მომავალი.

დაღმს, გაიჩნეს ცხოველი ძველი,
ცრემლი აქურთა, ვისაც აქურთა!
სიტყვა ახალი, ძველი, უღელნი
უნდა სიკვდილში ჰპოვოს დარმა.

გადაიარე ველები ფრენით,
უცნობი ზეცა, უცნობი მხარე...
ასე მიჭროდა განწირულ მერნით,
ვინც თავს მისცა ფიჭვი მღელვარე.

და ბედის წყველა ჩვენ გემართებს ვა,
თუ გეჯერა ზეცა კვლავ...
გამოუგზავნის მზე ბნელ ქვეყანას
ახალ რაინდებს, აწვევით რაშებს!


6.

მოაცურებენ ღრუბლები ნავებს...
გადმოეშვება ზეციდან გზები...
და გაიშლიან თქონს ნაწნავებს
დასუნი თვენი... ახალი...

და ვხედავ, ვხედავ: გამოჩნდა გზაზე
ცხენოსანი გუნდი. მესმის მაყრული.
მოჰყავს მეგვიარეს ასული ნაზი.
ჩემი ოცნება და სიყვარული.

მავრამ დღია ცამდე მანძილი...
მოველი სატროს და ვითელი წამებს.
ველი... სულ ველი... მერეცა ძილი...
თოვლი პიკეტის დაირილ წამწამებს...

რომელი ცხოვრობს ეხლა ჩვენ ორში?
დღე მზის თვალებით ჩემში ვის ხედავ?
ბედნიერ მეფეს? თუ სველ მიწაში
გაყინულ ცხენზე უსულო კედარს?



მერცხლის წაველა

— ნუ ანგრევ, ბიჭო, მერცხლების ბუდეს!
მეუბნებოდა ხშირად ვაღა.
— თეთრ-გულა ჩიტო საღაა ი აბრუნდეს,
... სახლ-კარი არ აბაღია...
... მოჩინავი რაში.
კეთილ დედაკაცს ვე...
მოუსვენარი, ჯიუტი ზეცა...
გულით არ ვიყავ ალბად პოპოტი.
ისევ მოფრინდნენ ჩიტუნები
და გახფხფლან ვაჟაჟა ქება...
როგორ დაელონდი, რომ არ ინებეს
ჩვენი ანგანზე ბუდის აგება.
მნატრებოდა მათი ელურტული
და ცრემლი მადგა თვალზე წყვილი.
გაღამ მითხრა სიტყვები რთული:
— მერცხლებსაგან ვართ დაწყველილი!
მონატრებული, მოხუცო ტკბილი!
როცა გესტუმროს მგზავრო ზეციდან,
განსვენების ვამს ჩაიცი თბილად,
რომ სამარეში არ გამოიკვდე.
მთისი მერცხზე შალი თავშალი.

ჩაიცი მატყლის სქელი წინდები.
 ურთხელ საწოლიც ვერ გაგიშალე.
 ამისთვის ქალო, ნუ დაღონდები.
 მე შეგერა, შეგერა, შენს თავსა ვფიცავ,
 მათ, ვინც დაგეარგეთ, ვინც დაგვეხოცა
 მხოლოდ დროებით აყრიათ მიწა
 და, დაქანტული მოხუცი როცა
 დაგიბრუნდებით, გიხილავთ ყველას,
 ყურს ნუ დაუგდებ მერცხლების წვევლას!
 თუ იმედებმა დაიგვიანეს,
 გულს ხომ აცოცხლებს შვის სიყვარული.
 უძირო ზღვებსა და ოკეანეს,
 როგორც მტკვრის ტალღებს, გავსჭრი შხარულით.
 დაეუბრუნდები დაქვეულ კერას,
 როგორც ფირალი გაჭრილი მთაში.
 კვლავ გაგაგონებ ჩემ გულის ძველას,
 თავს რომ ჩავეუდებ ველებს კალთაში.
 დაინთებს ღამე ზეცაში ცეცხლებს,
 ჩაწვება მთებში დევთა ზღაპარი...
 შენ მეტყევი: შეილო! თეთრ-გულა მერცხლებს
 ამ ქვეყნად არ გაქვსთ თავშესაფარი! —
 გადავიქცევი მერცხლად მეც მამონ.
 გაქვეება ზღაპარს ჩემი სახელი...
 მაგრამ ნოყიერ და ძველ მიწაში
 დაითესება ცრემლები ცხელი.
 და შემდეგ ვარდებს, ამოსულს გზებზე.
 დაიჭკნობს გულზე ჩემი მამული
 და ამღერდება ამაყად მზეზე
 ახალგაზრდობა აბჯარასხმული.

წ კ ი მ ა

—ღრუბლებო, ღრუბლებო დევნილნი ქარით,
 საითკენ იჩქარით ესოდენ მუქარით?! —

— მზე-ქალის ასული ხვალ ქორწილს აპირებს.
 უნდა მოვაშუროთ შავი ზღვის ნაპირებს..

მოვიგდე ნაბადი და ღრუბლებს გავვეცი:
 ზღვა...მთები...ველები...ფერდობი...ხან ხევი...

და დილით, როცა გამომეღვიძა,
 ვიციანი, ვიციანი კოპწია მიწა.

მყის წამოიშალნენ ღრუბლები ზეზე...
 ელევდა ზურმუხტი სასახლე მზეზე.

გარს ქრტვა სამეფოს ციხე ვით აღმასი:
 უვლიდა გაღაგანს ხეესტრო სამასი.

ტრიალ მინდორზე ქართვლისა ჯარი
 — ღრუბლებო, ღრუბლებო მონებო ქარისა.

მზე-ქალის სამეფო აქ არის, აქ არის! —
 ჯაქვე-მუწარადით, კაპარქ-აბჯართი.
 გაშალეს დროშა ფერ თეთრ-შავალს;

გაისმა ქება დიდ თამარ ქალის
 და ლურჯა ცხენზე, ვით ელვა ქარმა

ჯიარს ჩატკობლა მუცე თამარმა.
სამეფოს დროშა მოჰქონდა თავად
დავით სოსლანსა, ოსეთის თავადს.
თეთრ არაბულზე ვიკანი გვონი
გვოსანი შოთა ბაგრატიონა.

ქვედავდი ნათლად, მჯეროდა ჩოდი...
და სიხარულის ცრემლით ესტიროდი.
და...წვიმის წვეთი, ვით ცრემლის ხაზი
დააჩნდა თამარს ლალის ლოყაზე...

მომინდა მათთან მეც ახლოს მისვლა.
სასახლის ბაღზე დავეშვი ნისლად...
ესთქვი, თუ მოვიმენ წინაპართ პანგებს;
ვიხილავ ავაზს და ფარშავანგებს...

და როცა მიწას ხელო შევახე,
ოჰ, არ მენახა, ნეტა, რაც ვნახე!
ქველ სასახლიდან თურმე რა დარჩა:
მძიმე ლოდები და შკენაჩი ბაღჩა.

შეე ხალიჩებზე დაყრილან მთები,
როგორც დადლილა გოლიათები -
მარაბდის ველზე ხმალი ვიხილე,
დიდ მოურავის, გადატეხილი.
დახოცილ ზეესურთ ქრადობა აზის:
არაბთა, თურქთა და შაჰ-აბაზის...

ვიდექ მარტოცა კელზედ მწუსხარე...
იქეჭა ზეცამ... და ხმა მჭუსხარე
მე შემომესმა:

..შენს მამულს, ქართველო, უფალი იცავს!
ემთხვეი მკერდით ნოყიერ მიწას,
დახოცილ ლომებს შეახხი ჭება!

საქმენა მათი არ იკარგება.
ქველ ნანგრევებზე ვერ აშენევ ქოხებს!
იქ, ხმლის მავიერ, ლესავენ თოხებს.
მაგრამ, მამულის საყვირზე ხელო-ზედ
თოხებს შესცვლიან წინაპართ ხმალზე.
დიდი წარსული, ქველა დიდება
ვანმეორდება, ვანმეორდება!"

და მეც იმ დღიდან ცურო ხმები
თან დამაქვს გულში, ვით ბასრა ხმლები.
სძინავს ბნელ კოშკში მზე-ქალის ასულს...
და მე ღრუბლებში ესტირი, თან ვმღერო:
წვიმს... და ეცლება ვოლიათ წარსულს
ხავსი და მტვერი.





უ რ მ უ ლ ი

მე დაეუბრუნდი საყვარელ მზარეს,
 საყვარელ ჭალებს,
 საყვარელ ველებს
 და ვიგონებდი იმათ სახელებს,
 რომელთაც მიწა ვერ მივაყაოე...
 და სევდა
 გულს არხევდა.
 მიწვავდა თვალებს.
 მყინვარზე იჯდა მთვარე ახალი,
 როგორც ერეკლეს დამასკის ხმალი.
 ეძინა სოფლებს.
 და ქირისუფლებს
 ჭკონდათ სიზმარი:
 ზოგს დაუბრუნდა შვილი, ზოგს ქმარი.
 ძილში ალერსი და საუბარი...
 ესიზმრა კეკეს:
 ...როს საქონელი მინდვრად გარეკეს.
 იყო ზაფხულის ლაქლაქა დილა.
 ურმის კოფოზე მისას თანდილა
 არხევდა მზეზე განიერ ბეჭებს,
 უტყულაშუნებდა სახრეს კამეჩებს...

და სევდა

გულს არხევდა.

არც ძმა ამ ქვეყნად, არც მეგობარი.

იქ, სადაც ნინომ ჯერად შეჰკრია ვაზი.

სრემლობრეტული დავეში ქვაზე.

...რა ლამაზი ხარ, დედოფალი, როგორი ნახი!
 რა როგ ამშვენებს შენა ყაბარჩას თოვლის გვირგვინი!
 შენი მიწები მორწყულია კახური ღვინით.
 მაგრამ, ვაი, რომ მწიფე მტევნებს ასპიდი ჯხის."
 -ხმალმა დაეითის მოგცა სული. თამარის ბელმა
 ოქროს აკვანი დაგორწია, სათლად ვხარდა:
 უნდოდა ქალი აეხარდე დაუქნობ ვარდად.
 მაგრამ, ვაი, რომ სათლად მკერდზე გაკბინა გველმა."
 -მაინც ვარდი ხარ დაუქნობი! მინდა შევამყო...
 მაგრამ უფრო შენი შვილი რას ვეტყვი, რასა?
 ოღესღაც მეფეც ბრძანებულო და დღეს კი ხასა
 რა როგ გამშვენებს ეს გვირგვინი თეთრი, უმანკო!"
 იწოდა ოქროთ მოჭედელი მაღალი ზეცა.
 ეძინა მიწას მთვარის შუქზე. სდუმდა ყოველი,
 მხოლოდ მშუოვალედ ლოცულობდა
 სევტაცხოველი
 და... ჩემი ცრემლი მოსწყდა ზეცას
 და შორს დაეცა...

მე დაეუბრუნდი საყვარელ მზარეს
 და ჩემი ქვეყნის ნიაფი თბილი
 არხევდა წყნარად ფიჭებს მწუხარეს.
 არხევდა ველებს, არხევდა ქალებს...

სადაც ურემმა დაიჭრა.
 გაუტყულაშუნა მეურნემ ხარებს

და შემოსახა ურმული ტყბილი.
 მღეროდა გლეხი მყუდრო ღამეში,
 როგორც დაჭოილი, ობოლი გელი,
 მაგრამ ახკარა, სევდიან ხმაში
 იყო დაღბნეაქ, იყო იმედი.
 მღეროდა გლეხი: მივალ აღზევანს,
 მარილს მოვიტან, მარილსა ბროლსა
 და ბედნიერი გადაეხევევი
 ჯერ დედას, შემდეგ შვილსა და ცოლსა.
 ესტყვი: თუ იმსვენებლა ასე უდროოდ
 მშობელმა მიწამ საუნჯე ერის,
 რად არის ღამე ასეთი მყუდრო
 და უდარდელად გლეხი რად მღერის?
 უცებ დაჭროლა ნიაგმა ქშენით,
 გაცურდა ცაზე თეთრი ღრუბელი
 და თეთრ ღრუბელში ისხდნენ მოწყენით
 ანგელოსები და ღვთისმშობელი...
 ევირძენი შვება, განათლდა გული.
 ესტყვი: კვლავ იმევენს ჩემი ქვეყანა,
 თუ გლოვის ნაცვლად მესმის ურმული,
 თუ გპირთა ძელებზე ბიბინებს ყანა.
 მადლი უფალსა! ამ კუთხის გამჩენს!
 ბეცაში ცხოვრობს დიდი მსაჯული.
 იძლიერ გლეხსო! ჩვენ გადავგარჩენს
 შენი „პარალე“ და „კრიმინალი“

ს ი ზ მ ა რ ი

ვლახა იმნაჲს ხს(ო)ვნას(ო)



...შეველე კარი და პირველი გადავისახე.
 კუბოსთან იდგა ომაგაშლილი მწუხარე დედა.
 მიჯახლოვდი... და შავ ძაძებს ხელი შევასხე;
 დედა: ვერა მცნობ? შენი შვილი კვლავ დაგიბრუნდი!
 ნახეცი ქალი არ შეირხა... არ შემომხედა...
 და... „სულთანანს“ მივალობდა ქაშვეთის გუნდი.

ბ უ ლ ი

განიერ მცერდში გული მიცქმს, გული პატარა.
 ჩემმა მშობელმა ჩემი გული გულთან ატარა.
 რო დავიბადე და ევირძენი მშობელი დედა,
 ემანო გულში დედის გულმა ღრმად ჩახვიდა.
 დღემ მოგცა ხილვა სინათლისა; წაგართვა ღამემ.
 მზემ სიბარული გოანდგრძა და სევდა მთვარემ.
 მაგრამ იმ მიწამ, მშვენიერმა, მე რომ ამზარდა,
 პითხარ, რა მოგცა. ჩემო გულო, ცრემლების გაჩაღა?
 ჩვენ ვეჯავდა სატოლო; ძმად-ნათეცი და მეგობარი.
 მაგრამ მიყვარა მხოლოდ შენთან მე საუბარი.
 ჩემო პატარა, შენზე უკეთ არაენ იცის

*1 თეალსაჲნი რფიციკაი ქართული ეროვნული ჯა-
 რისა და კარგი მამულიშვილი, 1921 წლიდან ცხოვრობ-
 და ტფილეთში, გარდაიცვალა პარიზში 1936 წ.

გრძელი ზღაპარი სევდიანი მშობლიურ მიწის,
და ერის სევდა, ერის ცრემლი, ვით ცხელი ტუცია
მე დამაქვს გულით და ქოილობა მძიმე მატყვია;
და ვერვინ ვბოყე, რომ განზანთს სათუთად წველული,
მაგრამ მაინც ძვერს ძველებურად პატარა გული,
ოპხმორად მიმიძმ დაწულულგულს გულის ტარება!
მაგრამ ჯვარცმაში არის ოხვრაც და ნეტარება.
რით გადაუხვდი ჩემს შეგობარს ესოდენ ამაგს,
როს მძიმე ჯვარი გოლგოთისა მე რწმენით დამაქვს.
ვანიერ მკერდში გული მიცემს, გული პატარა.
იმღერე გულო, დაკარგული უცხო მზარეში,
რომ ჩავესვენოთ შზის დიდებით ბნელ სამარეში!
იტყვიან: მოკვდა, იქცა მიწად, მაგრამ ეს გული
იტბოვრებს მუღამ, ერის გულში გადანერგული.

მშვიდობით

ეხილე შენი ქალარა მთებში,
ეხილე შენი ლურჯი ველები...
მშვიდობით! ვეღარ დაგბორუნდები,
რომ დაგიკოცნო, მიწავ, ხელები.

მე მქონდა ლამე ნაქსოვი ვერცხლით
და დილით ოქრო გადმოღვარული...
მშვიდობით! გულში დღეს დამაქვ!

აცხვლით

დამწვარი ტრფობა და სიყვარული.
მე მყავდა სატრფო და მარტო დორჩა...
მადლობას ვწირავ მზესა და მთვარეს,

რომ ძველებურად კობტე ყაბაჩის
ტანზე ატყვეუნ ჩემს ოხლოდ მზარეს,
შორიდან ვუვღებ შენ სუნთქვას, კურსა!
და ამ უბედო, განკითხვის დროში
ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მიჯნურსა
არ გასცვეთია თამარის ქოში.

განშორებისას ვიტყვი შენს სახელს,
ქართული ჭრეოლა დამივლის ტანში...
ვიცი: ოდესმე თვალებს გაეახელ
ჩემს წინაპარსა მუხის აკვანში.

ნ ა ხ ა ხ ლ ა რ ი

ისევე ის მთები! ისევე ის ზეცა!
შენს სილამაზეს ვერ შესცვლის დრონი.
ორ ნაწნავებად გადმოიკეცა
ფარის კაბაზე მტკვარი, როინი.
გავეყვი მზევლად დღეს კელიან ქარს...
როცა სოფელი იწვა ბინდებში,
ვაკოცე ღობებს, ვაკოცე ქიმქარს
და დავიმაღე სქელ სიმინდებში.

გატეხილ ხულას
დასჩხავის ცვაფი,
დამპალ სვეტებზე
ქანაობს ოდა...

მე რომ აღვისხედ
გაეჩენილიყავ,
შენთან დარჩენა
შემეძლებოდა!



გ უ რ ი ა ს

გაეაღე კარი, ნუ მიცქერი მეგობარს მტრულად.
თვალს ნუ მარიდებ, მშენიერიო, მომეცი ნება,
შენს მთებს, შენს უალებს მივესალმო მე ძველებურად:
ბახმაროს ნისლში გაეახვიო ტკბილი ოცნება.
როგორ? არ გესმის ჩემი სიტყვა? მეძახი ფირალს?!
შამორის ბუნხართან მეოცნებებს, წარსულზე მტირალს!
ხო, მართალი ხარ! მიყვარს ყანწი, ჩხავერის ღვინო.
თავზე წაქრული ყაბალახი... ხელზე — მიმინო.
ახალ ცხოვრებას რომ აშენებ, მეც მითხრეს, ვიცი.
გინდა რომ მისცე საუკუნო ხსენებას ძველი.
მაგრამ მერწმუნე, რომ იჭნება ახლის დამცველი
ჩვენი შამისა „აღავერდი“ და მისი „ფიცი“.
ნუ მიჯავრდები! ვერ გაგიგებთ ძველები ახლებს.
კვლავ თუ მელირსა შენი ხილვა; მომეცი ნება:
ვესროლო თვალი სედიანი კვარტლიან ქარხნებს...
ბახმაროს ნისლში გაეახვიო ძველზე ოცნება.
მაგრამ თუ ჩემთვის დახშულია ოდის კარები,
თუ კი ცოცხალი არას ვარგებ, მიმიღე მკვდარი.
ჩემო ბატონო, ჩემს საფლავზე, გემუდარები.
ააშრიაღე დიდი მუხა და კოინდარი.

და როცა დღის ხაშმს შესცვლის გრილი, ლურჯი სა-
ღამო,

ამოვა მთვარე. ატირდება ჰალაში ტურა.
მომინახულეთ. სოკვით სიმღერა ტკბილი, საამო:
ჩვენი „ნადური“, „ოთხი ნანა“, „ხსიანმგურა“.
თუ სიცოცხლეში არ მელირსა უცხო მხარიდან,
რომ მეთქვა შენთვის სიტყვა მკვირცხლი, სიტყვა მა-
ხილი,

ნულა დამიშლით, გურულეხო, მუნჯ სამარიდან
მეც გაგაგონით ჩემი ბანი, ან მოძახლი.

მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა

გამიხსნა სევდამ გულში იარა.
შეს მთვარე დაჭრილი გული:
ოქროს ისრებით შიგ ჩაიღვარა
სითბო, ალერსი და სიყვარული.
შეგზიფე მთვარეს ობლად მოაჩუღს
და მომავონდა დაწყველილი ბედი...
და მზის სხივებით გამობარ სიყვარულს
გადაეფარა შავი ხვერდი.
გამგარდი გულში! რამ დაგაღონა?
შეგვით პეშვებით შუქთა კრებულნი,
რომ სამარეშიც განგების მონა
არ ჩავესვენო გაფითრებულნი.
ნულარ ვიდარდებთ დაღუპულ გზებზე.
გემართებს გადახდა სოფლის ვალისა:
ჩვენ აქ დაგვკნებით. იქ — ჰყავის მზეზე
ვარდი წითელი წინანდალისა.

დღე, სატრფოჲ ცრემლი ვერ დაგვატუ-
როს,
არც გვესმას ნანა ზურუმუხტ მდელოსი...
მაგრამ ესა მზე მთბობა სამყაროს —
ოქროს ტახტია საქართველოსი.
მთვარე სახეა მეფე თამარის;
გვირგვინად აღვას თავს ვარსკვლავები.
მთვარე მოსძებნის ჩემს ბნელ სამარეს,
ვადმოეშვება ციდან მკლავები.
და მოვესწრები ცივ სინელებში
ვამოლეიძებას ოქროს დილისა.
ჩუმად! არ გვემის ქართლის დამეში
ლალი სიმღერა ავთანდილისა?!

უკვდავება

როცა მოკვდები, ჩამაცვი ჩოხა,
წამიკარ თავი თეთრ ყაბალახით;
ჩემს სამარეზე გაშალე ნოხად
მინდვრის ყვავილნი შუვანე ბალახით.
ამიგეთ წესი ზურნია და ღვინო...
ნუ დამაპყურებთ ცხელსა ცრემლებსა,
ნუ შეაწუხებ. ქალო, ქეთინით
კახტა გორაკებს, ლამაზ ვილიბსა.
შავს ნუ ჩაიცვამ, თმას ნუ გაიშლი,
ნულარ დაიმტკრევე სიმწროით ხელებსა.
ბნელსა ორმოში დამტოვე მარტოლ,
ნუ მოაკითხავ ჩემს სამარესა...
ცელქი ნიაგი ობოლს გამართობს:

ზღაპრებს მიამბობს ლეშს მწუხარესა.
მიწა ვიფიქვ, მიწად ვიპყვი...
დაცენტრუნილები მშობელ მხარესა.
ჩემე გულისა და ტენის მტყურო
განიფანტება მინდვრად, ველადა;
ქარი წაიღებს ჩემს ფერფლს სამღობოთ,
გამოადგებათ ბილგეს თესლადა.
დისწურეთ ვაზი და შესვით ტყბილი
და ჩემი ფერფლი ერთი ხელადა.
„კაცი კვდება!“ — ნეტა ვინა სთქვა;
მას რაღა არის ყვავილი ცხოვრება?!
თუ არ იმათი ფშვინვა და სუნთქვა,
ჩვენი ცხოვრების განმეორება?!

მგოხანი

მე დავიბადე ცხელ ლითონის და ცეცხლის დროში;
ტყვიის ზუზუნმა დამაფიწვა დედის ნანინა...
საბნად მეხურა სისხლიანი ნაფლეთი დროშის;
გასრწწილ გვამებთან უდარდელ ბავშვს მშვიდად მე-
ძინა.

მაგრამ ჩემს გულში იშლებოდა მაისის ვარდი,
ზეციით დარგული და მორწყული ქართული სისბლით;
მთვარით ნაკონი და ქართული მზით განაზარდი,
და დაბურვილი ცივ-გომბორის ყანგიან ნისლით.
დაესტკერო მიწას ტყვიით დახნულს და ვამბობ ასე:
უნდა მივიღო დამწყველილი ხანა ახალი!
უნდა გავყინო ჩემში სხივი მაღალ პარნასის,
გავზარდო გულში ცივი გველი და ქარიშხალი!

ვაახელს მთვარე ვერცხლის თველებს და ყოველ
ლაშით,

რას დასწდებიან ვარსკვლავები ცაზე იებად,
ერწყვე გულში გაშლილ მისის ვარდს შხამით, ბალ-
ლაშით,

რომ ჩაეღწეროს საშინელი შურისძიება;

რომ ყოველივე ჩემი სიტყვა მტერს მოხედოს ტყვიად,
რითმამ დასტენოს მკვირცხლი აზრი ლექსში ყულმბა-
რად;

და, თუ ღიმილი ზეციური კიდევ მატყვია,
არ დაიჯეროთ! ვით ჯგალათი ვიციანი მარად!

რას ვაჭნევ სიტყვას პეტროვანს აწონილს მისხლით,
რის ვარს მარტყია ეკლიანი რკინის მავთული!
მელნად დაესწურე ნაყოფი ჩართული სისხლი,
კალმად მიპყრია ხელში ბასრი ხმალი ქართული!

და შხამით მორწყულ მისის ვარდს ვდარაჯობ,
ჰუვლა:

შურისძიება მისაზრობებს, მიმატებს ღონეს;
რამდენი მამა გაიხსენებს ჩემს სახელს კრულვით,
რამდენი დედა ცრემლით, ოხვრით შეიღს მოიგონებს!

თუ გამარჯვება არ აჩსებობს სისხლის ვარგშე,
შხოლოდ სისხლისთვის ვიხმობსთ ჩემი ბუკი-ნალარა!
ისე არ ჩავალ, ცით მოსული, ბნელ სამარეში,
თუ არ შეეღებე მტრების სისხლით ჩემი ჭილარა!

ვარ, ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ქირისუფალი,
ერის ბრწყინველ მომავალით მსურს გაეიხარო.
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე, მტერად ჰყავლიც დამენახოს მთელი სამყარო!

52
ესი სიყვარული...
ესი სიყვარული...
ესი სიყვარული...

მეფი ნუღებს

თქვენ აზრობთ: „მოკვდა!
მივახარეთ დღეს უცხო მიწას.
არ გცყავს ქაქუცა,
დაგვიბოლდა შეფიცულთა კრია“.

შეფიცულებო,
ნუ შეითინებთ. თქვენს თავსა ვფიცავ,
ეს ტყუილია.
არ მომკვდარა. მე ეს არ მეფერა.

არ დაიჯეროთ,
რომ დაჭრილი ვიყავ არწივი
გამოსალმა
მისსმეფერეილებს დღეს სამუდამოდ.

რომ მის მავარ ფრთებს
ზედ დაადეს ლოდები ცოვი.
არ დაიჯეროთ.

ტყუილია. მტერს არ აამოთ.
მე ამას ვამბობ.

და ეს მეფერა. ვამბობ იცით რას?
დაჭირლმა მკერდში,
დაქანცულმა ბოლოს ინება
ნაბადს გაშლა

რბილ მწვანეზე დიდ მუხის ძირას
და

. მიძინება.
და სძინავს, სძინავს
მეფურ ძილით საყვარელ ბელადს...
რუმად... ნუ სტრით...
მოვისვენოთ გულმაგი ერის.

ესი სიყვარული...
ესი სიყვარული...
ესი სიყვარული...

ჩვენი მამულის
 უღრან ტყეში; მთაში და ველად
 კვლავ გავიგონებთ
 ამღვრებას ცხელ მთუნერის,
 თქვენ კი, ყვავებო,
 მთის არწივი გგონიათ მკედარო,
 თავს ნუ დასჩხავით,—
 გინდათ ლეში ნაკუწ-ნაკუწად?!
 მალე ხარს დაგცემსთ
 თეთრ ტაჭრზე მკედარი —
 სივ სამარიდან
 ამოსული ჩვენი ქაჭუცა.



პაემანი მთაწმინდასე

ილიას დაბადებას 100 წლისთავზე.

უბა გიყვარდა, მეოსანო,
 ფშაველი ენაწულიანი;
 ენაზედ უფრო უჭრიდა
 ქართული მკლავი ხმლიანი.
 ხელში ფანდური ავიღე,
 ვაჟას ფანდური მზიანი;
 ოღნავ ჩამოვკრავ სიმეზსა,
 არ მივაყენო ზიანი.
 ქართული გუთნის მწიველნო,
 სამნი ხართ სამოთხეშია:
 აკაკი ალბად ოსუნჯობს,
 ვაჟა გაჭრილა ტყეშია.
 ვაჟას იქ არ მასწყინდების,
 თუ ჰპოვა მთა, კლდე, ხრეშია.
 შენ მეცოდები; ბატონო,
 ვაი, რა ცუდსა ღღეშია!
 შენ იქ რა ვაგაძლებინებს,
 ფესვები დაგრჩა ერშია.
 შენ, ზეციერი, ჰპოვებდი
 შვებასა მიწიერშია.

შთაბრუნეთ ერთადღა,
ფანდურსა ვიღებ ნელშია.
ყურა დამოგდეთ, მამებო,
დაგენაცვლებით ყელშია.
სიზმარი ენახე, ქართველნო,
არვისგან ვერ არ ნახული.
რაც ენახე, რაც გავიგონე
მაქვს თქვენთვის შემონახული.
ყური აიხოვეთ ფანდურსა,
სულია შუგ ჩამარბული;
ქართლის ბედია სიმების
წკრიალში გამოსახული.
სომღერით მინდა ეუკეილო
მომავალს გზა დასახული.
მოჯიღდით ახლოს, შამოკრბით.
გაითბეთ ამბით თქვენც გული.
მესიზმრა: თეთრი, პატარა
ლრუბელი ცაზე გაცურდა.
საღამო იყო მყუდრო და
ფოთლებს ჩურჩულიც არ სურდა.
ეიწეჭე ზურგზედ, ობლადა...
ლრუბელი ჩემსკენ მოცურდა.
გამხვია თეთრი საბანშია,
ისევ ზეცაზე აცურდა...
სუნთქვა შამეკრა, შავშინდი:
ემორღები არე-მარესა!
მიეცურავთ ზევით, სულ ზევით,
ეუახლოვდებით მოვარესა.
ვხედავთ გაფურჩქვნილ ვარსკვლავებს.
გვიღებენ ოქროს კარებსა;
გაიცინეს და სხივებ

თვლითა ვადმოუვარესა.
„ლრუბლებო! ენახიო, ავეტყვიოთ
ჩემსა მშობელსა მხარესა.
ზეცაში ყოფნას მარჩვენის,
რომ ვიწვე მის სამარესა!“
შაჭრთა ლრუბელი, შაჩრდა,
შაჭრა ეუშრად სახე და
ბრაზმორეულმა დაცინეთ
თავით-ფეხამდე ამხელდა.
„ეს რა სიჭკი, რა წამორო შე?“
თანც მოპსუბა მკვახედა:
„რა არას შენი სამშობლო?!“
გუშინ ეესტუმრე დილითა;
ციე გომორჩედა შამოვჯექი,
დაბურვილ იყო ნისლითა;
ფერღობი, ეიკე ველები
სულ შორწყულაა სისხლითა.
შახედე მუშთარს, ოტარინს
და კეშნიან ზულასა,
მთვარეს, ასპროზს, მარიხსა —
ხმლით აპობს ბნელეთს უდალსა;
მზე საპოთბეში შებრძანდა;
გვირგვინად აღგას უფაღსა.
— შართალ ხარ, თეთრო ლრუბელო,
მიგრამ მომეცი მეც ნება,
რომ ვითხრა: შევინი მნათობნი
არს წენი ქვეყნის შვენება.
არ მოვატყუებ, მისმინე,
გამომრევია ჰალარა,
ზეცამ მშუა და თავზე უფრო
სამშობლო მე შემაყვარა.“

გამავდა თეთრი ღრუბელი,
მკვირცხლავ ჩამავდა ქარზედი:
მოეჭრით და თავი მეგულუის
ტარიას რაშზე ჩქარზედა.
ხან ვარსკლავთ ვუახლოვდებით,
ხან დავეშვებით ბარზედა,
ხან მთაზე წამაესკუბდებით,
ხან ვავალთ შარავნაზედა.
შუალამისას ღრუბელი
ჩამავდა გორის ფხაზედა:
ტუჩოთ შავხო ბალახებს,
შასტრუტა ცვარი ცვარზედი.
ცარიით წყურვული მიიკლი,
ისევ შემოვდა ქარზედა.
...არ გამიცოდე, ვაჟიკავ,
საბან მისიხი ტანზედა!
არ გესმის ტალღით ტყაოშუნი!
მიეცურავთ შავსა ზღვაზედა?!
საბანა შამეიხიეი,
თავი დავიდე მკლავზედა.
ჩემ ქვეყნის ნახვის მოსურნეს
ცოცხელი მერვეის თვალზედა.
შავარდნის ხედვა ამესხა,
სმენად გარდიტკა ყურია:
გამოჩნდა ჩემი ქვეყანა,
რის ნახვა ეგრე მწყურია.
ათხაზეთ-სამეგრელოი
და ჩვენი ჩქარი გურია:
აქ ცხენის-წყალი მიშხლის.
იქ — მუჟი, აქ — ენგურია.
ზურმუხტაო შლილი ბაღნარი.

ქალები სამუხრია...
ქღარა კავკასიონი,
ღევებთა სად სადგურია.
გამოჩნდა შოთას აკვინიკ
მიძინებული მესხეთი,
ოჭრის ყანებზე გაშლილა
პურადი აქ-ჯავახეთი.
ამა, როინიკ გრიალგებს
ქართლის ქირამე, ქართლისა!
ამა, გამოჩნდა კახეთი!
ღარად აკურია ბურჯებსა
იწყება იჭიმერეთა;
ციხე-კოშკებით ნაქელი
რაქა, ლეჩხუმე, სვანეთი.
მტკვარსა არაგვი ჩაპკურა,
იქ, ოსიართ მათ ირთმანეთი!
ლომა თუმ-ღშაე-ხეცსურეთი!
სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ეგეთი?!
სულ ხელის გულზე გაშლილა
ამიერ და იმერეთი.
არწიეთა ბუდეს მავონებს
ჩერქეზეთ, ქისტეთ, ლეკეთი.
შორს მეზობლებიე მოსჩანან —
— აღარბადაგან, სომხეთი!

სხვა საქართველო სად არის,
კუთხე ნაქურთხი უღლისა?!
მთვარე ქათიბსა უკვრავს,
მზე ოჭოიმკედით უღლისა.
ხან თეთრ კაბასა ჩაიცვამს,

ხან შავსა — ჭირისუფლისა.
სულ მუდამ კონტა კი არის.
კენესა-მე მასი სულისა!
— ღრუბელი, საით მიგყევარ!
მეყოფი ვე სილამაზე:
მთებთა ამაყი ჭაღარა,
ველებთა ლურჯი სინაზე.
თითქოს არც ვაუგონია,
არ მიპასუხა ამაზე.
შამოგუარეთ თბილისსა,
დაეე შეით ოქრო-ყანაზე.
მარტოდ დამტოვა ღრუბელმა,
მე არ დაელონდი ამითი.
ჯერ დავიბანე ხელ-პირა
ქართული ცვარით ნამითი.
შემდეგ ბილიკზე დაეე შეი,
გამოჩნდა მამა-დავითი.
შუალამ გარდასულიყო,
ნიავეი ჰქროდა გრილია.
იწეა მთებისა აკვანში
დედის ერთგული შეილია;
თავზე გუშმათა ეხურა,
ვით დედის ძუძუ ტკბილია.
გალაენის კარი შეეადე-
ვიყავი სათნო, ფრთხალია.
აქ შეგულეების მსოფიანა:
ჩვენი აკაკი, ილია.
ვიხილე მათი სამარეც
გარდამამსუცხა ცრემლი წვეცილია.
უცებ მომესმა შორიდან
ხმა წინწილისა, დაფ-ბუკი!

გადმოვიღია ზეცადან
გზა განიერი მზის შუქი.
ავიარა მზისა შუქზედა
ოქროს მტვერი, ვით ქან-ბუქი;
მოაჭოლოვდა რაშებმა
თითი რანდი ჩაუქი.
შავშინდი, კლდეს მავუფარე
არ ვაქაკა, არ ქანბუკი.
გარდადეს ცხენთა, მუშვეს
უნაგირთ მოსართავია.
საროსა მეგობთა შენოდით
წვერი, უღუაში შავია;
ჯაქე - მუნარადი ემოსათ
ლომეებს ბაჯილო. თავია;
აბჯარზე მსხვილად ესხურათ
ბროლ - მარგალიტა, ლალია.
ტანზე ემოსათ ოთხთავენ
კაბა, — ვეფხისა ტყავთა.
ვამბობ: სიზმარში ხომ არ ვარ?
რა უცხო სანახავია!
ნეტა ვინ ვპოეო ამ ქვეყნად
ლომების შესადარია?
შოთას შმარ-ბეჭსა უშვენებს
ფრიდონ, აეთანდილ, ტარია.
ელავს ვეფხისა ტყავებზე
აბჯარი საომარია.
ჰაუ, განათდა ბნელეთი!
ოჰ, რა მზიანი დარია!
ვეფხურ ჰივიდენს საფლავთან
ლომურ იშმელეს ნმალნია:
დაიჭება და დაეღვია..

და მოიხარეს თავნთა.
თურმე ილიას საფლავზე
დღესა აქეთ პაემანია.
ტარიამ ხმლით გადასწია
აკლამას მძიმე ქვანია.
ვაშბოზ: ამისთან სად მოვა
ამრან, ყარამანია?!
გაბრღისნა ბნელი საპარე.
მამესმა შოთას ბმანია:
„გამოიღვიძე მობტუკო,
ერის გუშავო, ილია!
მოგსულეარო: შოთა, ტარიელ,
ფირიდონი, აეთანდილითა
შენებრ გულუხესა მასპინძელს
როდო შეგ შეენის ძილია.
ასი წლის თავესა გილოცავით,
ხელეები გამოწედილია.“

წამოიღვა ცოც სამარიდან
მემბრთანე ქართულისა,
მნათი უმთეარო ღამეში,
მომგერული დღის სინათლისა;
აზრი პიტალო, დამკველი
ჩაგრულთა და სიმართლისა
შუბლი მალო, გახსნილი,
მომნიჭებელი მადლისა.
ბრძანა: „ვერ ძალჰმძს, სულმნათო,
ენით თქვა სიხარულისა.
მოსულხარ მეფე მკოსანთა,
შეენება მზისა სოფლისა.
მოგოყვანია ლომები.“

დარაჯნი ქართლის სულისა.
თამარის შევილებს გესურვით
ხილვა ძმის ბედით კოულვისა.
მადლობას გიძღვნიო, მაგრამ რით
გამოვსთქვა ღსენა გულისაჲ!“

დადუშდა, თხზთავ მივიდნენ
და ეამბორენ გულზედა.
შოთამ ჯერ გულზე აკოცა;
შემდეგ სისხლიან შუბლზედა.
ილიას ცრემლი მზადგა,
ცრემლი, თვალების ლულზედა.
სოქქეს: „მოვიღხინოთ და შემდეგ
ვიფიქროთ დაკარგულ ხედა.“

უცებ ვაისმა ღამეში
ჩუმე წკრიალა ქარისა ..
გამოჩნდა ღამეში ქალარა.
ულამანესი მთეარისა.
მარჯენიუ ეკაი ეყენა,
არწივის შესადარისა.
მარცხნივ ნიკოლოზ ეილოდა,
დამამშვეენები მზარისა.
ბესაკი და აღეწჷსანდრე,
გრიგოლ — არიფნი თარისა.
ვინ ჩამოვსთვალთ, ვინ ერთა?
სულ ყველანი აქ არისა!
თითქოს გათენდა... თითქოს მზე
ღამეში ამოსულიყო.
აკაი მღერის: „მოიღვივართ!
სადა ხარ, ჩემო სულიყო?“
მათ მთეგება ილია

სახითა მომლიშართა.
შოთა რა ნახეს, გაკვირდნენ,
გაოცდნენ ერთის წიმითა.
ფერხით მოეხვივნენ, მოსთქვამდნენ:
„ერთ ბედნიერი ამითა!“
ჰკოცნიდნენ ლეკვი ლომებსა,
დასდისთ ცრემლები ღვირთია.
ამართეს დროშა შეფისა
შთაწმიდის გალაქანშია.
გაშალეს სუფრა, რა სუფრა!
ილია დასვეს თავშია.

აეთანდילו სუფრას განაგებს,
ტარიელ მწვადის წვაშია,
ფრიდონა მერიჭიფეა,
და შოთა ტოლუმბაშია.
სიტყვას იძახის მარგალიტს-
ვუსმენ, მაერეოლებს ტანშია.
განა ქართული მოღბენა
მარტოდენ ყანწის ცლაშია?!
არ ვაგეკელი შოთას მოძახილს
თეით იაღონის ხმაშია.
აეთანდילו გამყივიანია:
ხმა შააცურა ცაშია.
ფრიდონი აკრიმანქულებს:
შაიჭრა მტრისა რახმშია.
ტარია დაბალ ზანს ამოზხს:
ღინჯად დაეშვა ბარშია...
ქვანი სმენათა გარაღიქტენ
და მკედართა დაჰკრეს ტაშია.
აღიდეს ქვეყნის გამიენი.

აღიდეს ქრისტეს რუკელია-
ხოტბა შეასტეს წარსულსა.
ერთიოც რამ იყო თქმულია:
— ველარა აღსდგეს ივერი,
თუ ერთ დაქაქულია.
თუ ერთ ჰანგზედ არ ამღერდა,
მაშეული დაკარგულია.

ბევრი რამ იყო იქ თქმული,
ყოველი სიტყვა განძია!
შოთამ აავსო პირამდე
ატენის ღვინით ყანწია:
„შვიდასი წლისა ზეიმზე
მოგვლისთ ყველას ვარძია!“
(ხალხბო, ნომ გესმისთ, რა ბრძანა?
ხმა დაეარხოთ ერშია —
ვეძოთ შოთას საფლავი
ვარძის მონასტერშია).
ილიამ ჰკითხა ვაჟასა:
„რაზედ ხარ მოწყენილია?“
— შელას ნუკრი ავად გამიზნდა;
ჩემო ბატონო ილია.
აქაც ვერ ვბოვე წამლი,
ვერც საიქიოს ბაღშია.
გული ცრემლებით მევესების,
ებრუნდები სანტად სახლშია. —

ილიამ ჰკითხა ტატოსა:
„რაზედ ხარ მოღორუბლულია?“
— მთაწმიდის დანახვაზედა
გამეხსნა მველი წყლულია.
დატანჯულ ყრმასა მიყვარდა

აქ ხშირად სიბრტულია.
აქედან ცად მიიღტვოდა
ჩემი ობოლი სულა.
ამ ქვეყნიურსა შეენებას
მიკვოს, რად დაედე წუნია?
სამოთხეშიაც ვერა ეძღებ:
არ მესმის მტკვრის დუღუნია.

ილიამ უთხრა რადიელს:
„მოწყენა, ე, რა წესია?“
— წაართვეს ჩემსა თანდილას
რაც უხნაეს, რაც უთესია.
ნეტაი კი ელირსება
ცხოვრება უკეთესია?! —
ეს სიტყვა შეხედა თვალებში,
ხელაც დაადო ხელზედა:
„მითხარ, ილიავ, რად გცხია
ეგ სისხლი საფეთქელზედა?“
— მე და ზაქროი ვიყავით
სანადირითა ტყეშია.
უკან მომდევდა ერთგულა,
თოფა ეჭირა ხელშია.
გავარდა... და მისი ტყეია
ჩამაგდა საფეთქელ შია.
ვითომ და განგებ მოვეკალ,
ღაირხა ხმა სოფელ შია.
ამას მე არ დავფიქრებ,
რადიელ, თავის დღეშია.—
(ხალხნო, ეს რა გავიგონე!?
ეგრე სიტქო თავის პირითა —

ჩემს სისხლში ზაქროს ბრალს ნუ
სულა.

ჩემს ბედსაც ნუ დასტირითა).

ილიამ ჰკითხა აკაკის
მომლომარ, მომცინარესა;
შალოლან რა დისცქეროდა
კა - ფირუზ, ზურმუხტ - შხარესა:
„რაზედ დაფიქრიდ მგოსანო?
ახალს რას მეტყვი მე, რასა?
მითხარ, თუ ამწვე ცელილებას
ჩამქრალ ეროვნულ კრასა?“
— ბევრი ბრძოლითა დაქანცულს
ქაჯიი ვერ უტყუნ ვერასა.
„ჩვენ ჩვენი თავი გვეყდუნეს!“
ამბობენ შენ სიმღერასა.
გულა დღეს დაღუმებული,
დაიწყებს ისევ ძვერასა.
ილიამ უთხრა მამიას:
„გრიგოლსა ჰკითხე, მამია:
სამოთხეში თუ სკირდება
რუსული მოსახამია?“
გრიგოლმა გადიხარხარა:
— ჰოჰ, შენი ენა შხამია!
რასა იქმ, ვეფო, მარგალიტს
გადაძკრავს ხშირად ნამია.
ქართულ გზას გასაჯფიდა.
მტრის მესხა მოსახამია —
გაიციენი და გალადენენ,
ერთმანეთს ეამბორენა.
ბევრი რამ მქონდათ სათქმელი,
ბევრი რამ მოიგონესა.

დამატებს ტყუილი ქართულით
და თანაც დამაღონესა.

ილიამ ჰკადრა მხად ნაფიკთ:
„შოთამ გიკურთხათ ჯანია!
რას მეტყვიით? როგორ დავისნათ
ტყვედქმნილა დარეჯანია?“
ფრიდონ თქვა: „ერთი ნახტომით
ავიღებ ნართყალასა.“
ავთანდილ ამბობს: „დეკ-გმირო,
ხერხი სჯობია ძალასა.
ჯორს გადავცილებ აბჯარას,
ჩავციკვამ ვაჭრულ კაბასა.
შევეტაუები და ჭაგებს
დავსებე ხმლით ვით ცხვრის ფარასა.“
ტარიელ ამბობს: „ლომნი ხართ
და არც მე ვგვეარ ქალასა.
ერთად ვავსხლიტოთ ცხენები;
მე ამას გირჩევთ ამასა.
თანაცა ვთვალთ, ვინ რამდენს
გააპობა თავის ქალასა.“
შოთას შეხედეს სამთავემ,
განმარტოებით მდგარია.
ფრიდონ თქვა: „ვამ მე, რა მოსდის?“
მიელენ ავთანდილ, ტარია.
ჰკადრეს: „რადა ხარ დარეჯანით?
რადა გაქვს გული მკედარია?
ვამ, თუ არ მოგწონს, სულმნათო,
შენ ჩვენი საუბარია!“
გაიღიმა... მათ მოჰფინა
მზის შუქი უებარია.
ფურქობ: მგოსანსა რა უფავს?

ვე ამირ-სასალარია!
ბრძანა: „რად მკადრებთ მეც სიტყვის?
წყენა რა მოსაჭორია.
ვიცო, გწადსთ ომი ფიცელი.
ჰა, ბურთი, ჰა მინდორია!
მეც თქვენებრ მკურის მხარ-მკლავი.
ლეკვი ლომისა სწორია...
მაგრამ არ მიყვარს სიფიცხით
საქმენი ინაწორია.
ნუ მიწყენთ, ჩემო ლომებო!
წყენა რა დისაჯერია.
მე თქვენთ ეცანო გმირობა,
მეც თქვენებრ ხრმალი მკერია.
ზოგჯერ სიფიცხით დაშავდეს,
ზოგჯერ მიხტომაც ჯერია.
მარტონი ვერას გაეხდებით:
ვერ იქმს ერობას ვრია.
ჯაჭურ მისვლასა არ გირჩევთ.
სჯობს რომ ვავიდეს ხანია.
ლოდინით არ დაშავდებინ:
წამოვეებრდება ყრმანია,
თამარის აბჯრით შევემოსოთ
მეფე ერეკლეს სპანია.
ცხებ შეგნიღან ავილოთ.
ფლეაროთ სისხლისა ტბანია.“
ფრიდონ თქვა: „ფფიცავ შენს მზესა
ჩვენი სთქუ მოსახსენებო,
მაგრამ გონიერ სიტყვებსა
ხშირად წინ უსწრებებს ენები.“
იციწეს, გახსნეს ბაგენი.
ბოლო-ვარდით დანამკენები.

და როს მუხნეარი ვარდისფრად
 შეღებუა შუქმა დილისმა.
 გაფარნენ. არ დასცალდათ
 ახალი სუფრა, დილის სმა.
 გული დამეწეა, ავტირდი...
 ამოიხარა თბილისმა.
 სიზმარი ენახე, ქართველნი,
 არვისგან ჯერ არ ნახული,
 ოთხ ვეფხის კლდე მუშმანა
 საღ კლდეზე გამოსახული.
 ქუსლი ჰკრეს... ცაში ასტყორცნეს
 რამები ყარაბაბული!..

გასრულდა ესე სიზმარი
 არვისგან ვანაგონია...
 თვალგება ვახელ და თავი
 ბინც სიზმარში მგონია.
 ფანდღურო, ჩემო ფანდღურო,
 რაზედ ხარ დანადონია?
 ჩვენ წინაპართა პანგებმა
 შევასხეს ფრთები, ღონია.
 გააკან ნორჩ მობავლსა
 სიზმრად წახულნი დრონია.
 წარსულის მავალითებზე
 თეით გამონახოს ფონია.
 ვაი ერს. — თუ სიზმარშიც
 არა აქვს მოსაგონია!
 ვაი ერსა — თუ გამარჯვება
 სისხლთ არ აუწონია!
 ვაჟეჯი მნახო, ვტიროდებ,
 მაშინ ვარ მოსაწონია.

1937 წ. 26 ნოემბერი.



მოგონებანი ვაჟაზე

ათი წლისა თუ ვიჭებოდი... ქართული ენის მას-
 წავლებელი და თანაც ჩვენი კლასის დამრევებელი,
 ჩვენი საყვარელი ლუარსაბ ბოცვაძე შენოვიდა კლას-
 ში. დავამწერივა და ეზოში გამოგუყვანა.

— ხედა, რა უნდა ვითამაშოთ?!

— ნერგები, ნერგები მოუტანიათ! — დაიბრიალა
 დიღთავა უანაველმა. „ზავლობა“ — ს ვეძახდით.

ნელს ნაბიჯით მოგვიასლოვდა. შავ ჩოხოსანი.
 სიყვარულით მოგვავლო ყველას თავი. გაგვიღიმა

— „გამარჯვებათ, შეილებო!“

— „გავიმარჯვით, ბატონო!“! ვუპასუხეთ ერთხმად.

ჩვენი ლუარსაბი მივიდა უცნობთან. ხელი მკლავ-
 ში ვაუყარა და აღტაცებით მოგვმართა:

— „ბავშვებო! ეს დღე თქვენთვის ბედნიერი დღეა!
 გესტუმრათ თქვენი საყვარელი მწერალი ვაჟა-
 ფშაველა!“

— „შეღის ნუკრის ნაამბობი!“

— „ია!“ „ია!“

— შთის წყარო!“

— „ხმელი წიფელი!“

— „ჩხიკეთა ქორწილი!“ ჩხიკეთა ქორწილი!“ —
 და გაიგოს ჩვენი ეზო ტრიამფლითა და სიცილით.

ვაჟამ გაიღიმა და მორცხვად თავი დაჰხარა.
სამ-სამად დაგვეყო. პატარა ნიჩბები დაგვიროვა. „ზა-
გლობას“ დიდი ნიჩაბი ერგო და მე შემაჩერა ხელში:
— შენ მაღალი ხარო.

სასწავლებელის დარაჯიც მოგვეშველა და დავიწყეთ
ორმოების თხრა.

ვაჟა თავს დაგვტრიალებდა:

— არ დაიღალოთ, შეიღებოთ, არ დაიღალოთ! ფე-
სკებს გაუფრთხილდით, ფეხვესას!

ნერგები ჩავყარეთ, ნორსი ფესვებს მიწა სიყვარულ-
ით მივყარეთ და შემდეგ... სურათი გადავიღეთ ვაჟას-
თან ერთად. ყველა სცილობდა იმის გვერდით მოხ-
ვედრილიყო. დიდი მუჯღღუგუნი და წაკვრა-წამოკვ-
რაც იყო. მე, საშუქხაროდ, ყველაზე მაღალი ვიყავი
და მეორე მწკრივში მოვხვდი, სულ ბოლოში. სურათი
ერთი კვირის შემდეგ გეჩვენა მასწავლებელმა.
ყველა თავის სახეს ეძებდა. ჩემი თავი რომ ვიპოვნე,
დაექაყოფილდი (ალბად სცლელურადაც გამეცინა)
და სურათი მასწავლებელს გადავეცე.

რომ მცოდნოდა, ვაჟა ვახლებოდა ჩემი უსაყვარლესი
შეოსანი, მხოლოდ იმის სახეს დაეცქერებოდით,
რათა ყოველი ნაკეთი იმის სახისა დამემსახოვებინა.

თვალებს ვხუჭავ... ვფორნებ...

— მხოლოდ შეგ ჩოხისა ვხედავ.

რომ მცოდნოდა ათი წლის ბავშვს, უცხოეთში ვა-
ჟას სიტყვით გაითბობდი გაყინულ ცხოვრებას, აუცი-
ლებლად მოვიპარავდი სურათს.

*

გაიხარეს! გამაგრდნენ! ფოთლებით შეიმოსეს ნო-
რსი მკლავები! ეფელიდით: წყალს ეუსხამდით, ქაჩი-
ორზე ხელს ეუსვამდით. დავატყავდნენ!

და... როცა სამშობლოს ეტოვებდით, ჩენი უნივერ-
სიტეტის ეზოში შევედი, ჩემ ქაღაროთან მივედი. ხუთი
ჩემოდენა იყო. ამზიარდა: — სად მიდიხარ? აქ დარ-
ჩიო!

ჩემო ქაღარო, შორის ვარ შენგან! დიდ ქალაქში
ვცხოვრობ. ქვაფენილებზე დავედივარ. მიწის ქვეშ
რონოდით დავსრიალომ. ჭარხნების, ავტომობილე-
ბის და პერიოპლანების ხმაურით ყურები გამოვკედი-
ლი მაქვს და ხშირად ვამბობ ოხერით: — აღარ მინდა
ასეთი სიცოცხლე! შენთან ყოფნა მირჩევნია.

მაგრამ ასეთ სასოწარკვეთილებში დროს ვაჟას
ველს მოეგონებ ხოლმე, დილის მზემთავისისხივები
რომ დაფრქვია და დილის ნამი ააბრქვიალა. შუა-
დღისას მდგომარ რომ მოეფინა ძროხის ნახორი და ხა-
რბად დაეცა ბალახსა და ყვავილებს. შევესოვრებოდა
იგდა და არხეინად სალაშურს უტყავდა.

„თითო-ორიოდა გადარჩენილი“ ყვავილი დიდათ
შვოდებდა დახოცილებს და თავის სივებდს, ითვლის-
წინებდა მომავალს და ევედრებოდა დედა-მამას:

— დედილო, შენი ჭირბივე, ჩაგეაწვინებ ისევ იმ აკ-
ვანში, სადაც აქამდის ვიწყო; აღარ გვიინდა მზე,
აღარ გვინდა ჰაერი, აღარც ცა, არც წვიმა და აღარც
ასეთი სიცოცხლე, — შენს უბეში ყოფნა გვირჩევნია!

— სსსუთ, გაჭუმბოთ! — შემოსძახოდა ძირიდან
დედა-მამა, — ეგ აღარ გამოვჩნოთ! რა გატორებთ?
რა გაჩვილებთ? ვიდრე თქონი ფესვი ჩვენს გულ-
მკერდშია ჩაქსოვილა, თქვენთან სიკვდილს ხელი
არა აქვს. კიდევ აპყვავდებით, შეიღებო, კიდევ გა-
იზრდებით, მოითმზნეთ ცოტახანს! მაშ, რად გინდათ
სიცოცხლე, თუ თქვენს სიცოცხლეს ნაყოფს არ გა-
მთავლებინებთ, არაღის ასიამოვნებთ!“

უფროსი კლასის მოწაფენი წმინდა ნინოს საკად-
მყოფოში სანატრებად ჩაეწერეთ. ის საკადმყოფო
ჩვენი სასწაულებლის ზედა სართულში მოა-
თავსეს.

ჩვენი ჭაჭუცა პირველად იქ ენახე. რა კარგად მახ-
სოვს! საცელების ამბია. ფოსტლებში. საკადმყოფო-
ოს ხალათს, როგორც ნაბადს. ისე მოიგდებდა
ბეჭებზე...

შემოდგომის დამდეგს დიდი ღარბაზი გაეგნათვის-
უფლეთ, დავასუფთავეთ. ფანჯრები მე და ჯავრი-
შვილმა გაეწმინდეთ.

მეორე დღეს ეკა მოათავსეს ნათელ ოთახში.

მახსოვს:

მორიდებით შეველე კარები... იქვე, კარებთან იწვა,
რკინის ლოგინზე, გამზდარი, გაყვითლებული, პატა-
რა ტანის კაცი, საკადმყოფოს თეთრი, განიერი პე-
რანგი ეცევა.

შემომხედა.

— ქართველი ხარ?

— დიახ, ბატონო! როგორა ბრძანდებით?

— გმადლობთ, გმადლობთ! ყველასი მადლობელი
ვარ. ყველანი კარგები ხართ. — ჩაახველა. მძიმედ
შეისუნთქა. განაგრძო:

— ქართველი დაქორლები ბლომდა გყავთ?

— დიახ, ბატონო.

ჩაფიქრდა. გამზდარი, უსისხლო ხელი თავ-ქვეშ
ამოიდვა და ჭერს მიაპყრო თვალები... ცალი თვალი,
მგონი მარჯვენა, ჩამოხეული ჰქონდა და ცრემლი მო-
ადგა ზედა ტუჩები აუთამაშდა. რაღაცას ამზობდა...
იქნებ „ფშაველი ჯარისკაცის წერილი დედასთან“
მოაგონდა:

„გულ მკერდი აგიყოფებდა,
ლედო ია-ვარდიოა“...
ფეხ-აკრეფით გამოველ ოთახიდან.

მინ რომ დაებრუნდი, გველის მჭამელი“ გადაეშალე:

„მთვარეშაც გადმოაშუქა

საჯიხვეუბის სერითა,

და დააშტერდა თავის მკვლელს

მოხარე ქალის ფერიოა“...
ფანჯარა გამოეღო. წმინდა ნინოს საკადმყოფო ელ-

ექტრონით იყო გაჩაღებული და... ელექტრონის შუქ-
ზე, რკინის ლოგინზე ლევდა სულს დაჭრილი მინდია.

1935 წ.





ნ ი კ ო ლ ა

„ნასწავლი“ აფრასიონი მუშაობს ქარხანაში. მას კვირა დღით ესტუმრა წერა-კითხვის უცოდინარი ქართველი გლეხი პავლე. მასა-ვით საფრანგეთში შემოხიზნული.

— ბიჭო, ესლა ხან ადექი?! — პავლე სკამზე ჩამოჯდა.

— მე, ჩემო შვილო, მზემ თვალს ახარა თუ არა. საქონელი წყალზე წავასხი. ბოსელი დავასუფთავე. საქონელი დავაბინავე. ესლა, როგორც ხედავ, აქ გაუჩნდი, ანფრასიონს!

— პავლე, ამ ფრანგებმა ხომ ვერ ისტაველეს და ეგრა, ჩემი სახელი. შენ, რა დავემართა კაცო? სანფრასიონი კი არა, აფრასიონი მქვია. აფრასიონი! — სთქვა სავევედურით და თანაც დომილით აფრასიონმა.

პავლემ ოფლისაგან დატკეპნილი თიშები აიქორჩა. თავი მოიფხანა და უპასუხა:

— ეგეჰ, შვარლიონისა! თქვენა ხოხონიკებსა ეგეთი სახელები გქვიანთ, რომე ჩვენებური კაცი ძნელად თუ დაიმასოვრებს. ანფრასიონი, ე, რა სახელია? ვერ დაგარქვეს, ბიჭო, ქრტიანულა სახელი?!

აფრასიონი ლოგინზე ჩამოჯდა. ხელი ჩაიჭია. უნდოდა ეთქვა: — აი შე ტეტო! — მაგრამ სიაღრმე არნია და, როცა პავლემ სიცილით გული მოიფერა და უბის ჯიბეში ხელი ჩაიყო, შეეკითხა:

— რა საქმე გაქ ჩემთან, პავლე?

პავლემ სკამი ლოგინთან მიართრა. წყნარად, თითქმის ჩურჩულდით უთხრა. ამის ხმაში შიშით იყო და სიხარულიც:

— წიგნი მივიღე სახლადანა და... უნდა წამიკითხო. აფრასიონმა შეჭრის ვასახვევე ქალაქით ვაგეთებელი კონვერტი ჩამართვა. ვახსნა რვეულის ფურცლები. პავლე შიშით დააქკერდა შავ, უსწორო-მასწორო ასოებს. ნიკაბი აუცახცახდა.

— აბა, ვენაცვა, წამიკითხე. — შეტბეწა მოწყვეტილი ხმით.

„მამა-ჯან, მიმილო! გუწერ ამ წერილსა შენი შვილი ვანა.“

— აი, შვილო, დაგენაცვლოს მამა! — ამოიოხხრა პავლემ.

„გვერდით მიზის დედა ჩემი, შენი მეფულე ტასოი და რასაც კი მებნება, ყველაფერსა რიგზედა ეწერ.“

— აი, ტა, ტა, ტა, ტა! — ამოიყენესა პავლემ და მსხვილი ცრემლები მოადგა თვალებზე.

„ქმარო-ჯან, ქმარო, ჩემო თვალს სინათლე! მივიღეთ შენი წერილი და ბევრი ვიტროეთ. პელომ, შენმა ქალმა, დედა-შენმა და შენ ძმას ვაუტანა წერილი სარომში და კოტა შეუძლოდ არს და ენგრე უთქომს: უფალო ყოვლისა შემძლო, ისე ნუ მამყლამ რომ პავლე არ მანახო და პავლემარ თავისი ხელებით თვალეზი არ დამიხუტოსო და ერთი მუცა მიწაც არ ჩამატანოს საფლავშიო. რაც შენ წახვედი, ქმარო-ჯან,

დედა შენი ლოგინად ჩავარდა და დღეს რომ პარასკევია, კვირა დღით მე და პელოი სართოში ავალთ და ვინახულამთ. შენი წერილი რომ მივიღეთ, ქმარო-ჯან, ჩვენი მოკეთებები და მეზობლები სულ ორთხან ჩვენსა მოვიდნენ და სულ შენ წერილსა კითხულამდნენ და შენ მაგიგონებდნენ პავლე-ჯან და მადლობასაც ვითვლიან მოგონებისათვის.

აფრასიონმა პავლეს შეხება:

— რა გატორებს, კაცო, არ გცხვენია!

— არადერია, გენაცვა, არადერი! — წაღულულულა პავლემ. ხელებით სახე დაიფარა. ცრემლებს ებრძოდა, მაგრამ ველარ დასძლია... მთელმა სხეულმა ცხცახი დაუწყო და ქეითინი აღმოსხდა.

აფრასიონმა მხარზე ხელი გადაუსვა:

— არ გცხვენია, კაცო! ჯერ იმიზე ტრირილი რატო არ მომდისო. ახლა მიიღე და კდო ტირი? პავლე წელში გასწორდა. თვალები მაგრად დაისრისა მუშტით.

— ო, კარგი... არა ეტირი!... — გაიმხნევა თავი. — რა ეჭნა, შამავონდა სახლ-კირი და...

„დღეს რო პარასკევია, ქმარო-ჯან, ოთხშაბათსა მიხაკა უო ჩვენსა, — განაგრძო აფრასიონმა, — და სწუხს რომა ბიჭებისგანაო უკვე ორი თვეა წიგნი არ მიგვიღიაო. ენგრე გთხოვა: — იშტა, მისწერეთო პავლესო: ბიჭებმა რად დაგვიფიქვესო. რად არ იწერებთანო. ხომ არ დაიხოცენო. ჩვენ ყველანი კარგად ვართ. ენგრე უთხარიო. ეხლა, ქმარო ჯან, ჩვენს ამბავს იყოთამ და ყველანი კარგად ვართ. შენი ქალი პელოი კატუნათ ვივლამ დანიშნა.“

— რა? ენგრე წერია? — წამოიძახა პავლემ.

— ხო, დანიშნაო. მომილოცავს, პავლე, გაბედნიერება.

— კატუნათ ვივლამაო?

— ხო! არ მოგწონს ბიჭა, თუ?

— არა, ბიჭი კარგაო. მაგრამა...

უცებ პავლე სკამზე დაეშვა, მოიკუნტა, ხელები თავში იტაცა:

— ცოდო ხარ შეალო, ცოდო! ხუთმეტე წელი იცქირტე მობისთვის შეგისრულდა...

აფრასიონმა მაგრად შეანძრია პავლე.

— რა გატორებს, კაცო? თუთხმეტე წლის რომ იყო ბებია ჩემი, სანი შეილი ყავდა!

— ძველი დრო სხვა იყო, შეილო. პელო-ჯან მოვიკვდა მაშაი! არა გრცხვენთან, გოგო. შენს ქორწილში მაშაი გვერდით არ უნდა ვაამდეს?!

აფრასიონმა უღვაწეზა დაიგრიხა.

— რავარც გატყოფ კოჭებში, ძაღვანს გწყდებო გული, ქორწილს რომ უშენოდ გადინდიან. რას მორბოდი, ბიძია?!

— პავლემ თავი ჩაიქნია. აცრემლებულ ტვალეში მისბყო აფრასიონს:

— შენ ეგა სოჭვი და...! არ მერჩინა იქ მამკედარი-იყავ? ვინაგრძე, ვენაცვა.

„პელო დიდ უარზე იდგა: სანამ მაშა არ ჩამოეკარავთხოვდებო, თქვენთან ვიქნებო, ხო არას გიშავებთო, ოჯახს მოუფვლო. ვინას ვაზრდაში მოგეშველები დედა-ჯანო. მეც, ქმარო ჯან, თავად უარზე ვიდექე, მაგრამ ბიჭი კარგია. ოჯახიც შეძლებული, რად უნდა დაეუქარგო იღბალი დოღოსა. შე რო წახველი, მტრებიც ვაგვრნდა. ლევანას ბიჭი დიდი კაცი ვახდა და ენგრე გემშუქრებოდა: იშტა, ი თქვენი პავლე კონტრეგოლუკია ხაგრანიცაში წავიდა, მაგრამ თქვენ ხომ ჩემს ხელში ხართო. თქვენი სინსილა კი გაწყდეს, თქვენიო.“

პავლე ზეზე წამოიგო. ანთო:

— ენგრე უთქომს? პატრონ ძალი!

„ეხლა, რო გაიგო პელას დანიშნაი, ხმა გაიყვიდა.

პავლე ჯან, შულოცე შენს ქალსა პელოსა ორიოდ სიტყვითა. ამბობს,— ვიდრე მამა ყაბულს არ იქნება, ჯვარს არ დავიწერო. შენი ვანაი სკოლის ათავებს. ჩვენი მასწავლებელი ამბობს რომა, თუ ენგრე იბეჯითა, ქალაქშიც გავაგზავნიო. ტხენიკუმზიო. შენ როგორა ხარ, პავლე-ჯან? შენი ნახვა მოგვანატრე, მაგრამ წოწნით გავციხსენე მალი-მალ. ომლად დაგვეყარე, მაგრამ შიში ნუ გეჭნება. თავს კარგად მოუარე. ჩვენზე ნუ იღარღებ. ტანით ყველანი ჯამრთელად ვართ, მხოლოდ სულ გავონებთ, ქმარო ჯან, შენს თავს ვავედრებ წმინდა გიორგის ხატსა. ნახვის ნატყრითა, თვალზე ცრემლითა, დაბალი საღამითა გწერ ამ წერილსა შენი მეუღლე ტასო.

მამა ჯან, წუხელ სიზმარი ენახე: რომ სკოლიდან დაებრუნდა. დედა ცოცხა ზელს. პელო შენთვის წინდასა ქსოვს. უცებ გაღებულ ფანჯრიდან თეთრი ტრედი შემოფრინდა და პელოს მხარზე დააჯდა. დედასა და პელოს ვუამბე სიზმარი, დედამ სიზმარი ენგრე ასხნა: თეთრი ტრედიო კატუნათ გივლა არისო. ჩვენ ოჯახში რომ მოფრინდა, სიზარულს შემოიტანსო. პელომ ტირილი დაიწყო და სიზმარი ენგრე ასხნა: თეთრი ტრედი მამა არისო. გივლა რო ყოფილიყო, გაფრინდებოდა და მეც თან წამიყვანდაო. ხო არ გაფრინდაო? მამილო დაგვიბრუნდებო. მამა ჯან, მალე დაბრუნდი. რად მოგვანატრე ენგრე შენი თაყ. გწერ შენი შვილი ვანა.

პელო კოპერატევი ში წავიდა.

აფრასიონმა წერილი დააგეცა და ლოგინზე დასდვა. სიჩუმე ჩამოვარდა.

პავლეს თვალები დაეხუწა, შიშიველ სუნთქავდა...

— ბიჭო ჯან! — წაიჩურჩულა ყრულე — ნუ დითარებ და ერთხელ კიდე წამიკითხე.

აფრასიონმა კითხვა დაიწყო. პავლემ თვალები გაახილა. სმენად გარდაიქცა. იმის სახეზე დაკვირვება და ფიქრა აღიბეჭდა. პელოს დანიშნვას ღიმილით შეეგება. მხოლოდ ერთხელ შეაწყვეტინა აფრასიონს, ლევანას ბიჭის მუქარა რომ გააგონა. უღვაშები სიმწრით დაფრინა.

— ...შენი! შე ქეკეიანო შენა!

— „პელო კოპერატევი ში წავიდა“, — დაამთავრა წერილის კითხვა აფრასიონმა.

— ჰო დე! შაჭრის სასყიდლად წავიდოდა! — შეშფეცე წყენით დაუმატა: — ეხლა ვერ მოიწერეს რითვინ წავიდა?! აფრასიონ, ვეთაყუა! სიკეთე მოყუე და სიკეთით დააბოლოე. ქალადიცა გაქვს, აიღე ხელში კალამი და პასუხიცა დაეწეროთ.

აფრასიონი მაგიდასთან მივიდა. ყუთი გამოსწია. ლურჯი ქალღი ამოგო.

— პავლე, შე დაგიწერ პასუხს და მეერე შენ შეასტორე. დაჯექი მაგერ და ნუ მიშლი ხელს.

პავლე სკამზე ჩამოჯდა... დღის პატრვისცემითა და ყურადღებით უცქერის აფრასიონს. რომელმაც კალმის წვერი ჯერ თავზე გაიშინდა, შემდეგ მულანში ამოაწო და შავი ასოები სწრაფად დაითესა ქალღლზე.

— ჰა, დედასა! — წაიჩურჩულა პავლემ: — ენაცვალე სწავლულ კაცსა. გაეხმა ხელი. პავლე! არ განდოდა სწავლაო? ენგრე ეგდე მათრავრადს!

— ნუ მიშლი, კაცო!

პავლემ ტუჩებზე ხელი ააფარა. ზეზე წამოადგა და ფეხაკრეფით მივიდა კარებთან.

პაველმა და ბექზე ხელი დაკრა. — თქვენა, წავლუ-
ლი ხალხი, რასაცა ფიქრობთ, იმასა როდი წერთ, შვი-
ლო. წავლული კაცის წაგნა სულ სხვა ყიდა, სხვა
ლაზხათი აქვს. ვანა მე კი არ ვიცი! მაგრამა თქვენ ნა-
წერსა. ბოჟო, ჩენნი ხალხი როდი გაიგებს. იშტა, ესლა
ავიღოთ აქაური საქონელი. ამით რო ჩვენი ერთი დაუ-
ძახო, ან რო გავწყუნ, ან მოუაღერსო როდი დავიგდ-
ებს ყურსა. გრანაკის საქონელი ჩვენ საქონელზე
უფრო ნაპწავლია, თუმცა ჩვენი საქონელი უფრო
ჩახერულია. ფრანკის საქონელი ფრანკის ერთი
ლაპარაკობს, ჩვენებურ სახრესაც კი არ მიიკარებს.
ამ ქვეყნად, შვალო, ყოველივე კუთხის სულდგმულ-
სა თავისი ენა, ზნე, ჩვეულება და ადათი აქვს. მაშა!
ჩვენც ენაზე ვართ, შვილო. ენაზე არ არი? ენაზე
არ არი, ანფრასიონა?!

აფრასიონმა ხელეზა გაშალა:

— ნუ მომვალ, კაკო! მითხარი, რა დავწერო?

— დამაცადე, ბოჟო, დამაცადე! აქაირებითა სოფე-
ლი არავის მოუტამიო. ენაზე უთქომ ჩვენ წინაპარსა
და ჩვენც მათ კეალს უნდა მივსდიოთ. ჰო არსა გერ-
ქარება?

აფრასიონმა თავი გააქნია.

— ჰო, და თუ არ გერქარება. — ნელა-ნელა მიეყ-
ვეთ ჩვენ საქმესა.

პაველმ შარვლის ჯიბეებში ხელეზა ჩაილაგა და
ოთახში სიარული დაიწყო.

აფრასიონი პაველს ფეხსაცმელს დააქცურდა. და-
ლურსმული ფეხსაცმელები ხმაურობენ, მტვერსა და
ლურსმების კეალს სტოვებენ გასართლულ იატაკ-
ზე. დადის პაველ მძიმე და გრიძელი ნაბიჯებით...
ფანჯირას მიადგა... გადაიხედა. მაგრამ სწრაფად შე-

გობრუნდა და ისევ აბრაზუნდა... შუა ოთახში შეიჭ-
და... ჩონჭურს შეხედა. უცქერის დიდხანს, გაშტურე-
ბით... მაგრამ ეტკობა, ჩონჭურს ვერც კი ამჩნევს.
ფიქრებშია წასული... ნაღვლიანი, უძრავი, გაშეშ-
ებული თვალებით დასცქერის ერთ მუნდოვან ვიწრო
წრეს, რომელშიც მოუწყვედგვია დაუანტული მწარე
ფიქრები.

— აი, დედასა! — წამოიძახა უცებ. სქელ უღვა-
შებზე ხელი ვადაისება. შემდეგ ხელი თვალეზე აი-
ფარა, შემოტრიალდა და აახმურა მძიმე ნაბიჯი და-
ლურსმული ფეხსაცმელებით.

— შენი ქირიმე, პაველ! დაჯექი ამ სკამზე, თვარა
შენი მტერია, გასტკლავდაც ამ ოთახს!

პაველ შეერთა. ფიქრისაგან დაჭიშტილი შუბლი მა-
გრად დასრისა და სკამზე დაეშვა.

— ჰო დე, იმის ეამბობდი!

— რას ამბობდი, კაკო?!

— ლევენას ბიჭზე ეამბობდი! — თვალები აენთო,
ლოყა აუტახცახცა და დასწყვილა:

— დახე, დახე იმ ურჯულსოა, იმასა! დიდი კაცო
ვანბდარა! ბოჟო და ეხლა არ იკითხამ, რად გავგიხბა
მტრად? მენშენიკობის დროსა. ფალოს დუქანში რო
ვაქურდეს, ემლო მოვიდა ჩვენსა და ენაზე მიითხრა:
წუბულ ლევანა სახლში გვიან დაბრუნდაო და ტომრე-
ბით საბძელში შეიტანაო, დილა აღრიონ მე და სტარ-
ში მილუკია ვასიკო, თქვენებური ბიჭი იყო. ტა-
ნითა სულ შენა გგვანდა, თავს დავესხით ლევანასა და
ნაქურდალი დაუქირეთ. დავატუსაღეთ ი შენი ლევა-
ნაო და ახალციხეში გავგზავნეთ. ის დღეა და ისა
მტრად გამოიდა. ბალშენიკები ჯერ კიდევ შემოსულნი

არ იყენენ, რო. ლევანა ჩაბოლდა. მაგრამ დახე იმის ბიუსა! დიდი კაცი ვამზლარა!

— პავლე, რა დაეწერო?

— პო, და ის უნდა დაეწერო, რასაც ვამზობ: ქალო, ვანას ბიუსის ამბავი გავიგე და ენგრე უთხარ იმ ქურდის შეილსა, რომ პავლე ჯერ ცოცხალა და გრანიცაში სიკვდილს არ აპირებს თქო. პავლემ შემოვითვალა: შენ ეი, მანდ შენთვის ეგდე, თორემ ჩამოვა და დედას ავტირებს თქო, ცოცხლად დაგწომს თქო. პავლემ ენგრე შემოვითვალა თქო.

აფრასიონმა გაიღიმა.

პავლეს ბრაზი ახრჩობდა: ცხვარის ნესტოები დაებერა. თვალები აემღერა. რიხიანი ხმა ენაელით ამოსდიოდა დაკიმულ ველოდან.

— რა დაგეზართა, კაკო? ასთე რავე უნდა გადაგროოს მავ ამბავმა. არა, ჩემო პავლე, მავის დამწერი მე არ ვარ.

— რითვინა, ბიკო?

— იმიზა, ჩემო ბიძია, რომ ამ წერილს ენცხა გახსნის, წიკითხავს. იმ შენ ლევანასაც წუუკითხავს...

— შერა რა, რომ წაუკითხავს! მეც მითვინა ეწერ, რომ წიკითხოს!

— შენ რა გიკირს, ჩემო პავლე, საფრანგეთში ხარ გამოჭიმული და ერთი შენიანების ამბავიც აკითხე. რეინა გინდა ავიდუღდეს ცოდვა ოჯახში?

— მაშ, როგორა? ხმა არ უნდა ამოვილო? ბრაზით გული უნდა გავიციო?

— დაწყარდი, პავლე. ყოლიფერის თქმაი, რასაც ფიქრობ, ეი არ შეიძლება? რომ ჩახვალ შენ, მაშინ უუსრულე დანაქადი იმ ბიუს. არა, ჩემო ბიძია, ამის მიწერა არ ღირს, დამოჯერე.

პავლე ხეზე წამოიჭრა. ფანჯარასთან მივიდა ამოიხზრა.

— პო დე! — სიტყვა ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ: — მართალი ხარ. ასჯელ ვაზომე და ერთხელ ვასტყერიო. ენგრე უთქომსთ ჩვენს წინაპრებსა და იმათ რჩევას უნდა მივსდიოთ.

აფრასიონთან მივიდა. თვალეში შესხდა თავისი მიწყენილი, გულუბრყვილო, უკვე დამწვიდებული თვალეებით და თმებზე ხელი გადაუსტვა.

— სიმართლეს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა, სიმართლესა. მაშ მოდი და წოფი ენგრე დაეწყით:

— ქალო ჯან!

— ეი მარა, არც ამირფასო", არც "საყვარელო", ასთე წერილის დაწყება ვის ვალგონია...

— რასაც გებნები, ისე დაეწერე. ჩემ ქალისთვინა, ოცდა ათი წელი შარშან შესრულდა. რაც ღმერთმა შეგვაუღლა, არც ამერფასო" მითქომ და არც "საყვარელო". მაგრამ ღმერთი მოწამეა, გეყვარდა კიდევ ერთმანეთი და პატვისაც ვცემდი... პო და...

— "ქალო ჯან!" — დაეწერე, ბატონო. მერე? — გააწყებტინა აფრასიონმა.

— გუშინ დიღოთა ფოქტალიონმა გადმომცა შენი წიგნი. დღეს რა კვირია, წიგნი წამოკითხეს და ცეცხლად მადო ბედ-შავ გულსა ყოველი სოტყვა ჩემი ვანასვინთ დაწერილი. შეილო: გიკერთხოს შეცამ მარჯუენი. იმპავლე შეილო. გაახარე შენი ობოლო დედაი და ობოლი მამი.

— ეი მარა, ახლა კითო ტირი? რეინა წერ პავლე სატირელს?

— ნუ მიშლი, შეილო... — მსხვილი ცრემლი გადმოსტყრდა თვალიდან; ლოყაზე ხაზი დასტოვა დაი.

პირთან რომ მივიდა, პაულემ ენა მიაშველა. — ნუ მიშლი...

— ...ობლილი მამაი. შენს წიენსა მიკთხამდენ და სულ თქვენა გზედამდით, ვითამ მეც თქვენთან ვიყო. ქალო ჯან და შეიღებო ჯან, შორსა ვარ, ობლილ და-კარგული, ცოცხლად დამარბული, ღვთით განწირული, მაგრამ ფიქრითა და გულთა ერთიან თქვენთან ვცხოვრობ, თავს დაგტრიალებთ. დავწყებთ, თვალებს დახეუქამ და თქვენ შესიზმრებთ, ცხადლივ გზედ-აფთ, თქვენი ხმა შესმის. დღე გათენდება და თვალთა-ვან მეკარგებით. დამეს ველოდები. შეილო პელა! შენი დანიშენის ამბავი მავილე და გილოცვამს, გოგო, შენი უბედური მამაი ბედნიერებასა. იშტა, შენი ბუღ-ფა ყოფილა. ბედსა ვერსიდ წაუვალთ, შეილო, გიგ-ლა ყოფილა შენი ბედი და ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ღმერთმა ყოველივე სიკეთე გარგუნოთ ცხოვრებაში, შეებით ერთად ცხოვრების უღელში და ღმერთმა მოვციოთ ძალი და სიშენე ერთგულად გასწიოთ მძიმე ქაპანი. ბედსა ვერსიდ წაუვალთ, შეილო, ბედმა მარ-გუნა უბედობაი, მარტოდ ყოფნაი, თქვენი თავის არ ნახეი“...

— შეიკა, პაულე! ნუ ჩქარობ. კი მარა, „ყოფნა“ და „ნახეი“ დაწერო?..

— ბიჭო, ინგრე დაწერე, როგორც ვცხად... ერთი ასო რა არი, ისიც კი არ დააკლო.

.. „თქვენი ნახეი. — მაგრამ ბედი ბედსაქ მიტანს ხოლმე და აქნებ კიდევ ვნახით ქალო ჯან და შეიღებ-ბო ჯან, კიდევ ერთხელ ვნახო ჩემგნით მიტოვებული ოჯახი. გოგლას უთხარიოთ: პაულემ შემოგითვალა თქო შენ ესლა იმისა შეიღიკა ხარ და შენი ახალი ოჯახის ბურჯიკა თქო, ჩვენ სახლში რომ ფეხი შამო-

სდგი, გმრობაც უნდა გაგვიწიო და მამობაც თქო, თუ პელა გიყვარს, იმის დედასა და მამასაც ნუ მიაკლებ შრუნედლობასა თქო. თუ პაულემ სიკეთე სიკეთითვე ვერ გიშდა, ბეცა არ დაგივიწყებს თქო ქალო ჯან. მინახას ენგრე უთხარო, რომა ბიჭები თვალთვან და-მეკარგა თქო. სულ დაფანტულები მუშაობენ თქო. ტანით ჯანმრთელად არიან თქო. მაგრამ უღელ დიდელ დიდ-ბასა აბენციტი მასკლია. გაუქრიათ და ესლა კარგად არის თქო“...

— რათ გინდა, პაულე, ამას რომ წერ. რეიხა უბეთ-ქავ გულს მამამისს? შენ აბენციტს მაინც ვერა კაცო ვერ გაიგებს.

— კარგი, ენგრე იყვეს. ნუ დაწერ, სხვა რა დაუ-წეროთ? მუ დე!.. აი მათეკდე პაულე დედასა! ბატონი დედა სულ არ დამევიწყდა?!

„ბატონი დედა ინახულეთ მალა მალ. აჭიმიც მათე-ყვანე ახალციხიდანა, რა მათევიდა? თვალ როგორა აქვს? ტკივილს ბრძანებდა. ქალო, კარგად მათეაო. სოფლის ხმად არ გამიხადო ოჯახი, ენგრე არ ათქმე-ვირო მტერსა და მოყვარეს, რომ შეილი წაივიდა და ცოლმა ყური არ უგდო მოხუც დედაკაცსა, უპატრო-ნოდ დააგლო. წიენი წაუყიბნეთ ბატონსა და ენგრე უთხარიოთ: პაულემ დაბალი სალაში მოგართვა თქო. სიკვილზე ნუ ნუ ფიქრობ დედა ჯან თქო, ცოტა ცოტა ოკო წელი კიდევ უნდა იცხოვრო თქო. პაულე მალე ჩამოვი თქო, პაულეზე ნუ იდარდებ ჩემო ბატონო თქო“...

— დაწერე?.. შენი მტერია, იმან ერთი წელსე ვერ ვაძლოს. ცოდი სიზმარი მქონდა. — ამიოიხრა პაულემ.

.. ესლა, ქალო-ჯან, მოეხსენებ დიდ სალაშსა შენ

მშობლებსა და მოკეთებებსა. ჩვენ სოფლებსა. ბედი და უბედობაი, ლხინი და ტირილი ერთად გადაგვის-
დია და ღმერთი აგრე არ გამწირამს, რომ ჩემი კუბო
იმით არ მიიტანონ სამარესთან და ერთი მუტა მიწაც
არ ჩაბატანონ. მამიკითხე საროელი. ხოზაბაგრელი ბი-
ჭები, ვისი სახელები ჩამოეთვალო, ვინ დაეასახელო,
ყველანი ჩემს ვულში და ფუქრში მიზიხართ. ნახვის
ნატვრითა, დაბალი საღამითა, პირზე კონცითა გწყრს
ამ წერილსა შენი“...

პეღე ჩავიჭრდა. სიტყვის იგონებდა: „ტანჯული“,
„ობოლი“ შოადგა პირზე.

— გწყრს ამ წერილსა შენი პეღე. ენგრე იყვეს.
მოკლეთ მოჰქერ... აბა, ანფრასონ, გეთაყვა, ერთი
რიგზე წამიკითხე, რა დავწერეთ... ბიჭო! რა მოგდის?
შენ რაღა გატირებს?

— რაღა, ეტირი თუ?! რაცხა ბუზი ჩამივარდა
თვალში...

პეღე სოფელში სცხოვრობს და საქონელს.
ისე, როგორც ოდესღაც სამშობლოში, უფლის.
ეს მას მშობლიურ ქვეყანასთან ახლოეებს.
ტანჯვის უადვილებს.

ჩასძინებოდა...

ბილეთების გამყიდველმა მაგრად შეანძრია. პეღე
ზეზე წამოიჭრა. თვალების გახელას ლამობდა და ვერ
ახერხებდა. ბარბაცით ჩამოვიდა ავტობუსიდან.

სოფლის დიდ მოვლანზე გაშეშდა... თვალი მოა-
ლო მოედანს. მაღალ ბეტონის სვეტზე ელექტრონის
მუტა ლივლივებს.

ეძინა სოფელს.

მყუდრო მოედანი გადასკრა და ბნელ, ვიწრო ქუ-
ჩაში შევიდა.

დარაბებდა შეკებული ყავახანიდან სინათლე გა-
მოსქვივის.

ჩემი საუბარა.

ჩახლეჩილი სამღერა...

სოფლის ბოლოში ძალი აპყვედა.

საფოსტო ყუთი ხელების ფათურით მოსძებნა, წე-
რილი ამოიღო და ჩაღიჭრდა.

— ე, ტიალი, რა რიგ ბნელა!

არასდროს პეღეს ესე არ უგრძენია სიბნელის სი-
ახლოეე, როგორც იმ ღამეს; ვერ გაიშტა წერილი.
ვერ მიენდო სიბნელეს. პეღესათვის მუდამ დიდ სა-
იდუმლოებას წარმოადგენდა საფოსტო ყუთი. ვერ
ეხსნა, თუ როგორ მოგზაურობს მთელს ქვეყანაზე
პატარა წერილი. უცხოეთიდან სამი წერილი გავზაფ-
ნა სახლში. სინამ წერილს ყუთში ჩაუშევებდა, პირ-
ვევარს გამოისახავდა, ღმერთს შევიედრებდა, რომ
გზაში არ დაკარგულიყო. ხუმრობა ხომ არ არის!
ჭაღალდის ნაჭერი მთელ დუნაზე მოგზაურობს! ხან
მატარებლით, ხან გემით... უცხო ქვეყნებზე, უცხო
ზღვებზე და... ბოლოს ენას ჩაუვარდება ხელთ, რომ
ოჯახს ამენოს საბრალო მამის კირ-ვარაპი.

წერილი ქედში შეინახა.

— დილით გავზავნი. აზირ ჩემი თვალთ ენახო,
როგორ წაბრძანდები ყუთში!? — ეს სიტყვები ისე
წარმოსთქვა, თითქოს სულიერ საგნებთან ჰქონდა

საქმე. პავლესათვის თეთრ ჭაღალზე გამოყვანილ სიტყვას, ყოველივე წინადადებას ხორცი ესხა.

ორი ველოსიპედისტი გამოძვრა მოსახვევიდან. პავლეს რომ გაუსწორდნენ, ელექტრონის სანათი მიანათეს თვალებში. ახედ-დახედეს და ჩუმად გასრიალდნენ...

სოფლის შარაზე გავიდა. ვიწრო ბილიკზე შესდგა ფეხი და ზეცას შეხედა:

შავ, სქელ ღრუბლებში შესცურდა მთვარე.

გაიელვა.

შორით ქუჩილი მოისმა.

პავლემ ნაბიჯს უმატა. პატარა გორაკი გადაიარა და თავქვე დაეშვა.

გამოჩნდა თეთრი სახლი, განპარტოებით მდგარი დაცემულს მიწოდორზე.

ალაყაფის კარებზე რომ შეაღო, ძაღლმა დაიყეფა, პაგრამ იცნო პავლე და წკმუტუნი დაიწყო; ფეხთ გაეგო; ზურგზე გადმოტრიალდა.

— ყურმა. ჩემო ყურმა! — მიუაღერსა ძაღლს, ხელი გრძელ ბეწვზე გადაუსვა.

— მიიწყინე, ბიჭო, უჩემოდ?!

ძაღლმა წკმუტუნს უმატა. უკან დაედევნა ხტუნვითა და კულის ქვევით.

— გეყოფა, ბიჭო! ეხლავ დაიმაღე შენს ქონში. თორემ იგეთა წვიმა წამოვა, რომა...სულ ერთიან გაიწუწები.

ძაღლი ყეფვა-წკმუტუნით შეძვრა პატარა ფიცრულში.

ბოსელში შევიდა. ელექტრონი აანთო.

— გამარჯვებით, შვილებო!

საქონელი შეინძრა.

F14.697
4

